მოგილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
სამშაბათი
1
სექტემბერი
№ 201
(18143)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მხატვარი მ. კუხაშვილი.

ცოდნის დღესასწაული

საბჭოთა ხალხის ზეიმთა შორის განსაკუთრებული და გამორჩეულია ცოდნის ზეიმი, ახალი სასწავლო წლის პირველი დღით, პირველი სექტემბრით რომ თარიღდება. ამ დღეს მთელ ჩვენს ქვეყანაში, ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში სუფევს გამოცოცხლება და აღფრთოვანება, მომავლისაკენ მიმსწრაფი დღესასწაული.

არავინ არ არის და არც შეიძლება იყოს გულგრილი ცოდნის, სწავლის ამ ჭეშმარიტი დღესასწაულისადმი — ბავშვი და მშობელი, მასწავლებელი და სკოლა, მთელი საზოგადოებრიობა გულისფანცქალით, დაძაბული ყურადღებით, პასუხისმგებლობის გრძნობით, სასიამოვნო მოლოდინისა და შეუცნობელის შეცნობის ინტერესით ეგებება 1 სექტემბერს, ახალი წლის თანაბარ ამ საზეიმო დღეს.

ცოდნისა და სწავლის ზეიმი, დღეს ქვეყნად რომ სუფევს, განსაკუთრებული და გამორჩეულია მისი წინამორბედი უდიდესი ისტორიული მოვლენების — სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის მესამოცე წლის იუბილეს, ამ იუბილეზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამობრძანებისა და მარადსახსოვარი გამოსვლების შუქითაც.

საბჭოთა სკოლის ნათელი სურათი წარმოგვიხატა სკკპ XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში: „ჩვენ უკვე მივაღწიეთ დიდმნიშვნელოვან მიჯნას — დამთავრდა სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. დღეს მთავარი ის არის, რომ ავამაღლოთ სკოლებში სწავლების, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხი, აღვკვეთოთ ფორმალიზმი მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასებაში, საქმით განვამტკიცოთ ცხოვრებასთან სწავლების კავშირი, გავაუმჯობესოთ სასარგებლო შრომისათვის სკოლების მოსწავლეთა მომზადება“.

სწორედ ამ კრიტერიუმიდან გამომდინარეობს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეებისა და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების, მასწავლებლების, აღმზრდელების, მშობლებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყების წინა დღეებში გამოქვეყნდა პრესაში და მთელი სასწავლო წლის კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს.

კომუნისტური აღზრდა, რომელსაც ჩვენი სკოლა ემსახურება, თანამედროვე მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. ამისათვის კი საჭიროა სახალხო განათლების, პროფესიულ-ტექნიკური მომზადების სისტემის სრულყოფა. სკოლამ მხარი უნდა აუბას იმ დიდ საქმიანობას, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელი, სახელოვანი მუშათა კლასი, გმირი კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია რომ ეწევიან, საქმიანობას, რომელმაც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ესოდენ დიდი შეფასება დაიმსახურა.

მომავლის ადამიანის, სრულყოფილი მოქალაქის აღზრდაში განუზომელია სახალხო განათლების მუშაკების, სკოლების, პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა, ყველა იმათი როლი, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. ჯერ კიდევ საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის სახალხო ტრიბუნიდან გაისმა მოწოდება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო, განსაკუთრებით პროფტექნიკურ სკოლაში აღზრდა და განათლება დაუკავშირდეს თანამედროვე წარმოების საფუძვლებს, თანამედროვე შრომის ორგანიზაციას, ტექნოლოგიურ პროცესებს და ა. შ. ჩვენი რესპუბლიკის დიდი წინსვლა მოითხოვს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების უფრო სრულფასოვან შევსებას, ასეთ შევსებას კი სკოლა, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ. საბჭოთა საქართველოს ყველა წარმატებაში, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენს სახელოვან მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, შეაქვს ბეჯითი სწავლით, შრომითი სემესტრის დროს თავდადებით, გარჯით, სასკოლო საწარმოო ბრიგადებში მუშაობით.

ყველა ნათლად ხედავს და გრძნობს იმ დიდ ზრუნვას, რომელსაც რესპუბლიკის კომუნისტური პარტია და მთავრობა იჩენენ სახალხო განათლების, ჩვენი სკოლის აღმავლობისათვის. უკანასკნელ რვა-ცხრა წელიწადში მნიშვნელოვნად განმტკიცდა და გაფართოვდა სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აიგო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ახალი თანამედროვე შენობები. უმაღლეს სასწავლებლებში გაიხსნა ახალი ლაბორატორიები, უმცროსკლასელებს უფასოდ ეძლევათ სახელმძღვანელოები. დღეს დილით რესპუბლიკის სასწავლებლებში გაისმება საზეიმო რიტუალების სადღესასწაულო მელოდიები. ოთხი ათასამდე სკოლაში სადღესასწაულო ხაზზე დადგება მილიონამდე მოსწავლე და მათ მშობლები, მოწინავე ადამიანები მიულოცავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

საზეიმო განწყობილებას თავის ელფერსა და ეშხს მატებს მრავალი ახალი სასკოლო შენობა, პირველად რომ აჰკრიალებს საპირველსექტემბრო ზარს და გულთბილად გაუღებს კარს ათასობით მოსწავლეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლებმა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, მშობლებს საპირველსექტემბრო სიხარული ზოგან „ჩამოუღეს“ — ვერ მოასწრეს დაპირებულ ვადებში ახალი სასკოლო შენობების დამთავრება.

ამიტომ სასკოლო მშენებლობაზე პარტიული ორგანიზაციების ზრუნვა პირველი სექტემბრით არ მთავრდება. მათ საბჭოთა ორგანოებთან ერთად ყველა პირობა უნდა შეუქმნან სკოლებს ნორმალური მუშაობისათვის, იზრუნონ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისათვის. სასკოლო მშენებლობა, სკოლისათვის ზრუნვა მეთერთმეტე ხუთწლედშიც მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. საქმე ხომ ჩვენი შვილების, შვილიშვილების, მომავალი თაობების აღზრდის ინტერესებს ეხება.

რა ბეჯითად ისწავლიან ახალგაზრდები, როგორი შთაგონებით ასწავლიან მათ პედაგოგები, რამდენად სრულყოფილი მომავლის ადამიანები გაიზრდებიან ჩვენს სასწავლებლებში, — ყოველივე ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სახელოვანი, მსოფლიოში დიდებით მოსილი რესპუბლიკის ავტორიტეტის განმტკიცება და შემდგომი ზრდა. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია მოთხოვნა, რომელსაც რესპუბლიკის პარტია და მთავრობა უყენებენ ჩვენს მასწავლებლებს, პროფესორებსა და ლექტორებს, საწარმოო სწავლების ოსტატებს, — პატივი სცენ თავიანთ ღირსეულ პროფესიას და აღზარდონ სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოების მოქალაქეები, კომუნისტური მყოფადის მშენებლები, კვლავაც მუყაითად იმუშაონ ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, კვლავაც ეცადონ, რომ თავიანთი პროფესიული ცოდნა, მორალური იერი მიუსადაგონ უმაღლეს მოთხოვნებს, იყვნენ ახალგაზრდობისათვის სანიმუშონი შრომასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, განასახიერებდნენ მაღალ პარტიულობასა და ჰუმანიზმს.

სკოლას, ოჯახს, მთელ საზოგადოებრიობას, ხელიხელჩაკიდებულთ, ერთობლივად მომუშავეთ, ძალუძთ და კიდევაც უნდა აღზარდონ მართალი, პატიოსანი, გამრჯე, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული, კომუნისტური იდეალების ერთგული ახალგაზრდობა, კომუნისტური პარტიის საქმის ერთგული ღირსეული მამულიშვილები. მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მას მოსწავლეების სახით თანამედროვეობა და მომავალი შემოსცქერის.

დღეს პირველი სექტემბერია, ახალი წლის დარი დღესასწაულია, რომელსაც სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებისათვის უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებით ვიწყებთ. ამ დღესასწაულის განუყრელი თანამგზავრია ჩვენი ბავშვების — ქვეყნისა და მსოფლიოს მოქალაქეების, ისტორიის მომავალი შემქმნელების, მომავალი მამებისა და დედების, მომავალი მშენებლების აღზრდის უდიდესი მოვალეობის გრძნობა. ამ გრძნობით იწყება პირველი სექტემბრის ზარი, ეს გრძნობა გახდევს მთელ სასწავლო წელს.

მოგილოცავთ 1 სექტემბერს, ძვირფასო მეგობრებო, და გისურვებთ წარმატებებს!

ვზრდიდეთ კომუნიზმის მშენებელთა თაობას!

სასკოლო ხუთწლედი: პრობლემები, ძიებანი, პერსპექტივები

1 სექტემბერს ზარმა გვაუწყა ახალი სასწავლო წლის დადგომა. მასწავლებლები, რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა მუშაკი მას იწყებენ მტკიცე გადაწყვეტილებით, დაამკვიდრონ მიღწეული წარმატებანი, უზრუნველყონ სახალხო განათლების შემდგომი განვითარება იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახულია სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში თბილისში გამართულ ზეიმზე, რომელიც საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. ახალი სასწავლო წლის დამდეგს საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ზ. ლომიძეს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

— როგორია ამ სასწავლო წლის ძირითადი ნიშან-თვისებები?

— პარტიის XXVI ყრილობამ ზუსტად ჩამოაყალიბა მეთერთმეტე ხუთწლედში განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებანი. ავამაღლოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონე — ასეთია მთავარი ამოცანა, რომელიც ყრილობამ, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაუსახეს თავიანთი დადგენილებებით სკოლას. როცა მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლებს ვაზიარებთ, უნდა აღვზარდოთ ღირსეული მამულიშვილები — აღმშენებლები, პატრიოტები, ინტერნაციონალისტები.

„დღეს, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ყრილობისადმი, — მთავარი ის არის, რომ ავამაღლოთ სკოლაში სწავლების, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ხარისხი, აღმოვფხვრათ ფორმალიზმი მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასებაში, საქმით განვამტკიცოთ სწავლებისა და ცხოვრების კავშირი, გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა მზადება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის“.

პირველ სექტემბერს მერხს მოუჯდა რესპუბლიკის მილიონამდე ნორჩი მოქალაქე. თითქმის 80 ათასი ყმაწვილი პირველად გადააბიჯებს სკოლის ზღურბლს. სკოლების კოლექტივებმა შეფების დახმარებით ყველაფერი იღონეს, რათა სასწავლო წლის პირველი დღე მოწაფეებს დაახსომდეთ როგორც დიდი, სასიხარულო დღესასწაული. აშენებულია 68 სასკოლო შენობა 27,5 ათასი მოწაფისათვის. 37 ახალი სკოლამდელი დაწესებულება 8 ათას პატარას მიიღებს. არც მასწავლებლები დაგვვიწყებია: მათთვის აშენდა 24 საცხოვრებელი სახლი. სკოლებმა მიიღეს ორი მილიონი მანეთის თვალსაჩინოების ხელსაწყოები და ტექნიკური საშუალებები. რესპუბლიკის მასწავლებელთა 75 ათასიან რაზმს შეემატა თბილისის უნივერსიტეტისა და პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლის 1400 კურსდამთავრებული.

— ის სიახლენი, რომლებიც წინა სასკოლო ხუთწლედმა მოიტანა, ყველგან იგრძნობა. ეს არის საყოველთაო საშუალო განათლება, რომელიც ჩვენი ცხოვრების ნორმად დამკვიდრდა, ეს არის სოფლის სასწავლებელთა კომპლექსები, სადაც ყველაფერია დღევანდელობის მოთხოვნების შესაბამისად, ეს არის სემესტრების მიხედვით სწავლებაც. ხომ არ არის მოსალოდნელი რაიმე სიახლე დამდეგ სასწავლო წელს?

—უწინარეს ყოვლისა, სკოლა იწყებს გადასვლას ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის, უცხო ენების, ხაზვის, შრომითი აღზრდის, ფიზკულტურის ახალ სასწავლო პროგრამებზე. ეს შედეგია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ქვეყნის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი მრავალი წლის მუშაობისა, რომლის მიზანია შევუსაბამოთ სასკოლო განათლების შინაარსი მეცნიერებისა და კულტურის თანამედროვე მიღწევებს, გავაძლიეროთ სწავლების იდეურ-პოლიტიკური და პოლიტექნიკური მიმართულება, განვტვირთოთ პროგრამები მეტისმეტად გართულებული და მეორეხარისხოვანი მასალისაგან და, საბოლოო ანგარიშით, ავამაღლოთ მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი და ეფექტიანობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად ჰუმანიტარული საგნების სასკოლო პროგრამების ძირეული გაუმჯობესებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი ინსტიტუტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლები, საქართველოს მწერალთა კავშირი. და აი შედეგიც: დამთავრდა ათი წლის მუშაობა არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ახალ პროგრამებზე. პირველი სექტემბრიდან IV კლასები გადავლენ ახალ პროგრამებზე. ქართულ ენაში, ხოლო IV და V კლასები — ლიტერატურაში, თანდათან გადავლენ ამ საგნის ახალ პროგრამებზე დანარჩენი კლასებიც.

ყველა მოწაფე — მოსამზადებლიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით — წელს უფასოდ მიიღებს სახელმძღვანელოებს. შეგახსენებთ, რომ ეს პროცესი 1978 წელს დაიწყო და წარმატებით გრძელდება. მაგალითად, გასულ წელს რესპუბლიკაში სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგდათ მოსამზადებელ — მეოთხე კლასების მოწაფეებს. 1983 წლისათვის ყველა მოსწავლე უფასოდ მიიღებს სახელმძღვანელოებს.

— რა არის კიდევ ახალი სკოლის ცხოვრებაში?

—ახალბერძნული ენა. მის სწავლებას დავიწყებთ თბილისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, წალკის, დმანისის, ქობულეთისა და ბორჯომის რაიონების მთელ რიგ სკოლებში. უკანასკნელი წლების მანძილზე დასავლეთ-ევროპული ენების შესწავლასთან ერთად საქართველოს სკოლებში შემოღებულია თურქული, არაბული და სპარსული ენების სწავლება. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას, ზოგადი კულტურის ამაღლებას.

კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი სიახლე: პირველ სექტემბერს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონისა და თელავის რაიონის მეტი წილი სკოლების მოსამზადებელი და პირველ-მესამე კლასების მოსწავლეები გადადიან ხუთდღიან სასწავლო კვირაზე.

—უკანასკნელ ხანს სულ უფრო ხშირად გვესმის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის საშუალო ქულას აღარ გაითვალისწინებენო. მართალია ეს?

—არა. ჯერჯერობით ყველაფერი უწინდებურად რჩება.

—როგორ ვითარდება სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელი?

—ამ სასწავლო წელს რესპუბლიკის ორასზე მეტი სკოლის მოწაფეები გაივლიან შრომით სწავლებას სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში. ახალი კომბინატები გაიხსნება თბილისის ოქტომბრის რაიონსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სკოლის წინაშე ბევრი პრობლემა დგას ისეთი, რომლებიც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს. მათ შორის არის ორწლიანობის, არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის, პროტექციონიზმის წინააღმდეგ, მოწაფეთა ცოდნის შეფასებაში არაობიექტურობის ყოველგვარი გამოვლინების, ზოგიერთი პედაგოგის მხრივ პედაგოგიური ეთიკისა და საბჭოთა სკოლის მორალური კანონების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ბოლოს და ბოლოს, გზა უნდა დავუხშოთ არალეგალურ კერძო რეპეტიტორობას.

ერთი სიტყვით, ამოცანები მრავლად გვაქვს, და ყველა დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და არის აღვზარდოთ კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობა, აღვზარდოთ ლენინური პარტიის დიადი საქმის ღირსეული განმგრძობი.

სიტყვა გზის დასაწყისთან

კეთილი დილა

დღეს ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძეს ჩვენმა სოფლებმა და ქალაქებმა — სექტემბრის ნანატრი დილა გათენდა. ეს დღე ზეიმად შემოდის არა მარტო მოსწავლეებისა და სტუდენტების, არა მარტო მათი აღმზრდელების, არამედ ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში.

იმედის თვალით გიცქერით და იმედის თვალით მივაცილებთ ყველას, ვისაც დღეს სასკოლო ოთახებისა თუ უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებისაკენ მიეჩქარებათ. რა უნდა მქონდეს ახლა მე, ოთხმოცი წლის ქალს — დედას, ბებიას უფრო ძვირფასი, სანატრელი, ვიდრე ის, რომ მინდა თქვენ — ჩვენს შვილებს და მომავალს — მხოლოდ ცოდნის შესაძენად მომწოდებელი ზარები გიხმობდნენ და მუდამ მშვიდობიანი ცა დაგნათოდეთ თავს.

მახსოვს წარსული, მძიმე და ძნელი დრო, ვხედავ ამ ბედნიერ დღევანდელობას, და გული სიხარულით მევსება. ახლა თქვენ ყველა სიკეთე გაქვთ, ყველა პირობა, რომ ისწავლოთ, ღირსეულ მოქალაქეებად აღიზარდოთ და ასახელოთ საკუთარი თავიც და ქვეყანაც. რა უნდა იოცნებოთ, რა უნდა ინატროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოუწევდომელი აღმოჩნდეს თქვენთვის. ოღონდ შრომას, გარჯას ნუ დაიშურებთ და ყველა გზა ხსნილი გაქვთ. მინდა დედაშვილურად ერთხელ კიდევ გითხრათ და შეგახსენოთ: შრომაა ყველა დიდი გამარჯვების პირობა, ყველა სიკეთის სათავე. ძალიან კარგია, რომ სკოლაში, მოწაფეობის წლებშივე ეზიარებით ხოლმე ამ განცდას.

გრძელი ცხოვრების გზა გამოვიარე. სიხარულთან ერთად ამ გზაზე დიდი მწუხარებაც მინახავს და თუ ცხოვრების განსაცდელმა ვერ გამტეხა, უწინარესად იმიტომ, რომ მარტო საკუთარი თავისთვის, მარტო ჩემთვის არასოდეს არ მიცხოვრია. ჩემი საზრუნავი ყოველთვის განუყრელი იყო საერთო-სახალხო საქმისაგან და ჭირსა თუ ლხინშიც, ყოველთვის ვგრძნობდი მშობელი ქვეყნისა და ხალხის თანადგომას.

ეს ხომ ყველამ კარგად იცის, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში და არასდროს ისე არ დაფასებულა მშრომელი კაცის ამაგი, როგორც ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში ფასდება.

კეთილი იყოს ყველა თქვენგანისთვის სექტემბრის ეს მშვენიერი დილა. გაგმართლებოდეთ ყველაზე სანუკვარი ოცნება და მიზანი ჩემო სიცოცხლის თაიგულებო!

თამარ ჟუჟუნია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

მუყაითი იმარჯვებს

ახალი სასწავლო წლის დადგომა ახალი წლის დღესასწაულივით არის. იგი, ერთი შეხედვით, ჰგავს ადრინდელს, მაგრამ როგორც ყოველი ჭეშმარიტი ზეიმი, განუმეორებელია და ერთადერთი.

ჩვენს სკოლას განუზომელი ამაგი აქვს მომავალი თაობის აღზრდაში. მისი წინსვლისა და განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის წინსვლა და ძლიერება. მე ხანდაზმული კაცი გახლავართ და კარგად მახსოვს საბჭოთა სკოლის პირველი ნაბიჯები. აბა, ახლანდელთან შედარება როგორ იქნება! ვერც იმ ცოდნის დონეს შევუდარებთ ერთმანეთს, ადრინდელსა და ახლანდელ კურსდამთავრებულებს რომ განასხვავებს. ესეც იოლი გასაგებია — ყველა ეს სიკეთე ჩვენმა ახალმა ცხოვრებამ მოიტანა, მას საკუთარი ოფლითა და ბრძოლით ქედდნენ თქვენი პაპები და, მამები, თაობები, რომელთა ღირსეულ მემკვიდრეებადაც იზრდებით თქვენ.

შორს რომ არ წავიდე, ჩვენი საწარმოს მაგალითს გავიხსენებ. აქ წელი არ გავა, რომ საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები არ მოვიდნენ. ჩვენ, ძველ მუშებს, არა მარტო ის გვახარებს, რომ ახალბედები ცოდნასა და საზრიანობას იჩენენ, უფრო ის გვიხარია, რომ ისინი მოწიფული კაცებივით მსჯელობენ და იღჯებიან. ანგარიშს უწევენ არა მარტო საკუთარ ინტერესებს, არამედ საერთო საქმეს, საერთო მიზანსა და სულისკვეთებას.

ძველ მჭედელს გულს მიხარებს, რომ პროფტექნიკურ სასწავლებელს სულ უფრო მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი ეტანება. წელსაც ასეა. გავიგე ბევრ სასწავლებელში კონკურსითაც კი ჩაურიცხავთ მუშური პროფესიის დაუფლების მსურველები. ასეც უნდა იყოს. მუყაითობა, კარგი აღზრდა და მაღალი შეგნება ისევე ჭირდება მომავალ ხუროსა თუ კალატოზს, ზეინკალსა თუ ელექტრომონტიორს, როგორც ნებისმიერი სხვა ხელობისა და სპეციალობის კაცს.

ვინც ამგვარი ფიქრითა და განწყობილებით მოდის, სწორედ ის ისახელებს თავს და გამოადგება ქვეყანასაც. სწორედ ასეთები უმაღლებენ ავტორიტეტს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს.

გახსოვდეთ, მეგობრებო, რომ ჩვენი კულტურის ძეგლებს — ტაძრებსა და ციხეებს, ულამაზეს და უმტკიცეს ხიდებს, შეუვალ კედელ-ბურჯებს ხუროს, კალატოზის, მჭედლის ერთგულება და მამულისადმი განუზომელი სიყვარულიც აგებდა. სამშობლოს დიდ განსაცდელში ისინიც პირველ რიგებში იდგნენ ჯარისკაცის თავდადებითა და რწმენით. მათ საქმეს მხოლოდ ღირსეულები უნდა განაგრძობდნენ.

ამ ფიქრით მინდა დავულოცო გზა ყველას, ვინც დღეს პროფტექნიკურ სასწავლებელს, კვალიფიციურ მუშათა აღზრდის კერებს მიაშურებს, ყველას ვისაც სექტემბრის ზარი უხმობს.

კონსტანტინე ილურიძე,
ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი.

ეს დღეები სოფლად

რაოდენობასთან ერთად ხარისხიც

თეთრი წყაროს რაიონში წლეულს 52 ათასი ტონა უხეში საკვები უნდა დაამზადონ. მათ დასჭირდებათ 22 ათასი ტონა თივა, 20 ათასი ტონა სენაჟი და 10 ათასი ტონა ნამჯა. გარდა ამისა, ფიქრობენ 26 ათასი ტონა სილოსის ჩადებას და 5 ათასი ტონა ჭარხლის მომარაგებას წვნიან საკვებად.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომში და სოფლის მეურნეობის სამმართველოში გვითხრეს, რომ საკვების დამზადების კამპანიისათვის თავიდანვე საგულდაგულოდ მოემზადნენ. რაიონში არსებული სათიბების ნახევარზე მეტი, თითქმის 3.700 ჰექტარი მინერალური სასუქებით განოყიერეს. შედეგი კარგია. წლეულს პირველად დათესეს შერია ბარდის შერევით, ამან საკვების ხარისხი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, უფრო ყუათიანი გახადა, ასევე თითქმის 200 ჰექტარზე დათესეს სამარცვლე ბარდა, სასილოსე სიმინდში მზესუმზირაც შეურიეს. გარისის საბჭოთა მეურნეობაში შერეულად დათესეს შერია, ბარდა, სიმინდი, მზესუმზირა და ქერი. ეს გაკეთდა ე. წ. „მწვანე კომბინირებული საკვების“ მისაღებად. შედეგიც კარგი აქვთ — ჰექტარზე 15 ტონის ნაცვლად 30 ტონა მწვანე მასა მიიღეს.

თეთრი წყაროს რაიონში მტკივნეულ პრობლემად იდგა ის, რომ სახნავ-სათიბებში ძალიან ბევრი ქვა და ლოდი ეყარა. ამის გამო თივის მნიშვნელოვანი ნაწილი, ნამჯისა კი ბარე 40 პროცენტი იკარგებოდა (კომბაინერები იძულებულნი იყვნენ მაღალ ჭრაზე ემუშავათ). დღეს სახნავ-სათიბები ამ ქვებისაგან თითქმის მთლიანად გასუფთავებულია და სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად ეს ამბავი საკვების უხვად დამზადებასაც წაადგა.

ეს მართლაც ასეა და, ამდენად, ბევრის თქმაც შეიძლება იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადნენ და რა გააკეთეს თეთრწყაროელმა საკვებმომპოვებლებმა წლეულს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ კარგად დაწყებული საქმე ჯერ ბოლომდე არ მიუყვანიათ. აი, სენაჟი კი იმაზე მეტი ჩადეს, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული, მაგრამ ჯერ მხოლოდ 6.650 ტონა თივა აქვთ დამზადებული, 4 ათასი ტონა ნამჯა და 120 ტონა სილოსი. ეს ყველაფერი ცოტაა იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს. მართალია, აქ დღემდემოშვებით წვიმს და სათიბებში ვერც კაცი შესულა და ვერც ტექნიკა შეუყვანიათ, ახლა შემოდგომაც მოგვადგა კარს, კიდევაც იწყებენ, მაგრამ გულხელს ხომ არ დავიკრეფთ და ვუყურებთ, როგორ ლპება თივა მინდორში?

რაც მიზიდეს და ფერმებთან დაზვინეს, ისე გააკეთეს, რომ წუნს ვერ დასდებ, მაგრამ ყოველთვის ვერ იცავენ სენაჟისა და სილოსის ჩადების ტექნოლოგიურ რეჟიმს.

ჯორჯიაშვილის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი დ. სულხანიშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ჩომახაშვილი) სენაჟი თითქოს კარგად ჩადეს, მაგრამ ორმოებთან წყლის გუბეებია. არც აქვთ გაკეთებული სადრენაჟო არხები და წყალი სენაჟის ორმოში ჩადის. რა თქმა უნდა, ამით საკვების ხარისხი ფუჭდება.

ასურეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ნ. ჭიჭინაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ო. გოცირიძე) გვითხრეს, გეგმით გათვალისწინებული 400 ტონა თივა სულ დავამზადეთო, მაგრამ შემოსავალში ჯერჯერობით 100 ტონა აქვთ აღრიცხული, ნამჯაც ჯერ მხოლოდ ნახევარი მიზიდეს ფერმებთან.

ამ მეურნეობის სარძეო ფერმის ეზოში ორმოა გაჭრილი, ვერ გაიგებს კაცი, აქ სენაჟი უნდა ჩადონ თუ სილოსი? ალბათ სილოსი, მაგრამ ამ ორმოს კედლები მოპირკეთებული არა აქვს და ასურეთელებმა ბევრიც რომ მოინდომონ, ასეთ პირობებში სასურველი ხარისხის სილოსს ვერ დაამზადებენ.

ხზორების ბოსელთან ერთი დიდი, 350 ტონიანი ორმო აქვთ. აქ ჯერ 200 ტონა სენაჟი ჩადეს და მერე ზედ 40 ტონა სილოსი წააყარეს. რა გამოვიდა? ვფიქრობთ, რომ ასურეთელებს სენაჟი გაუფუჭდებათ (ჩაზურდება და მერე დალპება). აჰა, ვერც სენაჟს გამოიყენებენ წესიერად და ვერც სილოსს. ამასთანავე სრულიად მოუწყობელ ორმოში ჩაუდიათ სენაჟიც და სილოსიც. კედლები დახეთქილია, ზემოდან მიწა და ნაგავი ცვივა და საკვებში ერევა. როცა ჩვენ მივედით, ორმოს ღორები წამდგომოდნენ და ზამთრისათვის ჩადებულ საკვებს აფუჭებდნენ.

მეურნეობის დირექტორმა ნ. ჭიჭინაძემ თავი იმართლა, ამ თანამდებობაზე ჯერ ერთი თვის დანიშნული ვარო, მაგრამ ეს „საპატიო“ მიზეზი გასათვალისწინებელი არ არის, მით უმეტეს, რომ მანამდე იგი ამავე მეურნეობის მთავარი აგრონომი იყო და მასზე კარგად, აბა, ვინღა უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა მოიმარაგოს მეურნეობამ პირუტყვის საკვები?

დასასრულ, გვინდა იმედი გვქონდეს, რომ პარტიის თეთრი წყაროს რაიონული კომიტეტი, პარტიული და კომკავშირული აქტივი, სპეციალისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საქმე აღარ შეაფერხონ, უამინდობამ მათ ხელი არ უნდა ჩააქნევინოს. აი, ის საკვები მათ ახლო და შორეულ სერებზე ესოდენ ბევრი რომ მოჩანს, აუცილებლად უნდა მიიტანონ ფერმებთან. ამასთანავე დიდი ყურადღებითა და ტექნოლოგიის შესაბამისად უნდა ჩადონ სილოსი. თეთრწყაროელთა საკვებმომპოვებლებისათვის ჯერ მთავარი საქმე წინ არის.

ჯ. ძურხული,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რატომ დალპა სენაჟი?

კასპის რაიონის დოესის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. ხორბალაძე) განგაში გამოცხადდა: „ყველანი სათიბებში!“.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ მეურნეობის 200 ჰექტარ ბუნებრივ სათიბებში, რომელიც თრიალეთის სამხრეთის კალთებზეა გაშლილი, ბოლო ხანს გვალვები დაიჭირა. საქმე დახანებას არ ითმენდა და კიდევაც დაიძრა მთებისკენ დოესელთა ლაშქარი — მეურნეობის მუშები, სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა, სოფლის ინტელიგენცია. 200-ზე მეტი კაცი მთებში ავიდა, ცელები მამაპაპურად დაატრიალეს და 150 ტონა თივა ჩამოზიდეს მეცხოველეობის ფერმებთან!

ყარალაჯის კოლმეურნეობაში კი სასენაჟე მასა არც მთებიდან ჩამოუზიდავთ, იქვე, კოლმეურნეობის გვერდით მდებარე ფართობებში გათიბეს ბალახი და ჰაიჰარად ჩადეს სასენაჟე ორმოში ისე, რომ გასული წლის სენაჟის ნარჩენებისაგან ორმო არც გაუსუფთავებიათ; ამან და, საერთოდ ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევამ ის გამოიწვია, რომ დასენაჟებული მასა... დალპა.

ახლა ყარალაჯში თავიდან იწყებენ საქმეს, რომელიც კარგა ხნის დამთავრებული უნდა ჰქონოდეთ.

დამნაშავეებს პასუხი უნდა მოეთხოვოთ. ეს ასეც იქნება. მაგრამ განა ეს საქმეა?!

აი, ასეთი დაუდევრობით მზადდება საკვები კასპის რაიონში. ზემო ხანდაკისა და ქვემო ჭალის კოლმეურნეობებმა, ოკამისა და კოდისწყაროს საბჭოთა მეურნეობებმა დაძაბული შრომა გასწიეს იმისათვის, რომ გადაჭარბებით გეგმადებინათ თივის, სენაჟის, სხვა უხეში საკვების დამზადების გეგმა-ვალდებულებანი. კავთისხევის, ახალქალაქისა და ნოსტეს საზოგადოებრივი მეურნეობები კი ჩამორჩნენ, ხელიდან გაუშვეს ბალახის აღების საუკეთესო ვადები. ზამთარი კი ცხრა მთას იქით როდია, ცხრა მთას იქით ამ მეურნეობათა სათიბებია, მთიბავებს, მუშახელს რომ ელიან.

ბ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სკოლისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სექტემბერი — ექსპერიმენტის პირველი დღე

იმარჯვებდე და არ ნებდებოდე

ალბათ იშვიათად თუ მიესადაგება რომელიმე ხელობას მწერლის სიტყვები ისე, როგორც მასწავლებლის მოუსვენარ პროფესიას: ეძიებდე და ჰპოვებდე, იმარჯვებდე და არ ნებდებოდე!

დღევანდელი დღე, 1981-1982 სასწავლო წლის პირველი სექტემბერი განსაკუთრებით ღირსსახსოვარია ჩვენი რესპუბლიკის იმ სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, სადაც ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, ცდის წესით ხუთდღიან სასწავლო კვირას დაუწესებენ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს. პირველნი ამ საქმეს, დედაქალაქის ლენინის რაიონის სახალხო განათლების მუშაკებთან ერთად, სათავეში ჩაუდგნენ თელაველი პედაგოგები.

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი დ. გერგიშვილი შეხვდა თელავის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ალ. თვალიაშვილს, მიულოცა ახალი სასწავლო წელი და სთხოვა, ჩვენი მკითხველებისთვის მოკლედ ეამბნა, თუ რით და როგორ იწყება ეს მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი.

• •

სიახლე, — თქვა ალ. თვალიაშვილმა, — 1 სექტემბრიდან ექსპერიმენტის სახით ინერგება თბილისის ლენინისა და თელავის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივი, მიზანმიმართული ზრუნვისა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის პირობების გასაუმჯობესებლად, ხოლო ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში ეს სიახლე ჩვენი რაიონიდანაც იდგამს ფეხს, რაიონის სახალხო განათლების დარგის მუშაკთა, პედაგოგიური კოლექტივების, აღმზრდელი მასწავლებლების შრომის ღირსეულ დაფასებად მიგვაჩნია, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას და უფრო ენერგიულ თავდადებულ შრომას მოითხოვს ჩვენგან.

ახალი სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან ხუთდღიან სასწავლო კვირაზე ჩვენს რაიონში ცდის წესით გადავლენ თელავის მეორე, მესამე, მეხუთე და მეშვიდე, წინანდლის, ფშავლის, ბუშეტის, ნაფარეულის, კისისხევის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, ვარდისუბნისა და კონდოლის ბაგა-ბაღების მოსამზადებელი ჯგუფები, 1982 წლის სექტემბრიდან — მოსამზადებელი და პირველი კლასები, 1983 წლის სექტემბრიდან — მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები, ხოლო 1984 წლის სექტემბრიდან — მოსამზადებელი და დაწყებითი განათლების ყველა კლასი.

ექსპერიმენტული კლასები იმუშავებენ სპეციალური სასწავლო გეგმებით და სახელმძღვანელოებით. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველკვირეული დატვირთვა განსაზღვრულია 20 საათი, შესაბამისად პროგრამული მასალაც შემცირებულია.

როგორც ცნობილია, დღევანდელი საშუალო სკოლის ყველა კლასის და, კერძოდ, დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ძალზე დატვირთულია, რის გამოც მოსწავლეთა ერთ ნაწილს საპროგრამო მასალების ძალლევა უჭირს. მოსწავლეები ხშირად ცოდნის არცთუ შესაშურ დონეს ამჟღავნებენ. ამ გარემოებაზე გაამახვილა სახალხო განათლების მუშაკთა ყურადღება პარტიის XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა და აი, სწორედ ასეთი სერიოზული ნაკლის გამოსწორებას ისახავს მიზნად ექსპერიმენტული სწავლება სკოლებში და ბაგა-ბაღებში. ექსპერიმენტით დადგინდება ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობის უპირატესობა და გაირკვევა ისიც, სად ჯობს იყოს მოსამზადებელი კლასი — სკოლაში თუ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის სამმართველოების მუშაკებთან ერთად სკოლის დირექციების უშუალო ხელმძღვანელობით, ზემოთ ჩამოთვლილ სკოლებში შევქმენით საჭირო ბაზა, ექსპერიმენტულ ჯგუფებში სამუშაოდ შევარჩიეთ უფრო გამოცდილი და უნარიანი მასწავლებლები. 24 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით ისინი თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტში მივავლინეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ექსპერიმენტული მოსამზადებელი ჯგუფებისათვის შერჩეულია ნათელი სამეცადინო ოთახები, მომარაგებული გვაქვს თვალსაჩინოებანი და სასწავლო ნივთები, პერსპექტივაში გვაქვს გახანგრძლივებული ჯგუფების შექმნა შაბათ დღეს იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა მშობლებიც ამ დღეს მუშაობენ.

ვსარგებლობ შემთხვევით და სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა მოსწავლეს, პედაგოგსა და აღმზრდელ-მასწავლებელს, ვუსურვებ წარმატებებს განსაკუთრებით იმათ, ვის ხელშიც არის ჩვენს სკოლებში დანერგილი სიახლის შემდგომი ბედი. მჯერა, რომ თელავის რაიონის პედაგოგიური კოლექტივი, რომელსაც ექსპერიმენტით მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს, ამჯერადაც წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ჩვენთვის სექტემბრის ეს პირველი დღე, მართლაც, განსაკუთრებით დაუვიწყარია, სკოლებში მეტად მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი დაიწყო.

გამარჯვებით დაგვირგვინებულიყოს იგი!

ცხოვრების გადასახედი

ზაფხულის შრომითი გაკვეთილები

უკან დარჩა ზაფხულის მცხუნვარე დღეები. სექტემბრის ზარმა ისევ მშობლიური სასწავლებლებისაკენ მოგვიხმო. რამდენი რამ აქვს თითოეულ ჩვენგანს სათქმელი და გასახსენებელი. განსაკუთრებით დაუვიწყარია ეს ზაფხული იმათთვის, ვინც იგი სტუდენტთა სამშენებლო რაზმების რიგებში გაატარა.

ჩვენ, უნივერსიტეტელები, წელს მეხუთედ ვეწვიეთ ვარძიას, მის მზით გარუჯულ ველებსა და ნათელი იდუმალებით აღსავსე ძველისძველ სენაკებს. დავდიოდით ამ უძველეს ქართულ მიწა-წყალზე და თითქოს ცხოვრებაში გვენახოს, თვალწინ გვიდგებოდა ყველაფერი, რაზეც ასე ამაღელვებლად მოგვითხრო გახმაურებულმა ფილმმა-დილოგიამ „მშობლიური ჩემო მიწავ". ჩვენ ვმუშაობდით ჩამოქცეული ტერასების აღდგენაზე, ვეხმარებოდით მშენებლებს და კოლმეურნეებს, და ნამდვილად ბედნიერები ვიყავით იმის შეგნებით, რომ ეს ყველაფერი ჩვენია და მოვალენი ვართ ვუპატრონოთ ამ მიწა-წყალს.

უნივერსიტეტელებთან ერთად წელს ასპინძის რაიონში იყვნენ ჩვენი თანატოლები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან და სამხატვრო აკადემიიდან. კარგი მეგობრობა გვქონდა. შრომაში ვეჯიბრებოდით და ტოლსაც არ ვუდებდით ერთმანეთს.

სოფელ ოთის კოლმეურნეობის მეცხოველეებს დიდი დახმარება გაუწია უნივერსიტეტის სტუდენტთა იმ რაზმმა, რომელსაც „მესხეთი" ერქვა. რაზმის ხელმძღვანელმა მ. ბერიძემ სემესტრის ბოლოს 45 ტონა საკვების დამზადების პატაკი ჩააბარა, გამომუშავებულმა თანხამ 1.650 მანეთი შეადგინა. ასევე იყოჩაღეს რაზმმა „საქართველომ" (ხელმძღვანელი — თ. ფიფია), და ჩვენმა რაზმმა „ვარძიამ". „საქართველო" ხიზაბავრის ტერასების აღდგენაზე მუშაობდა, ჩვენ კი ვარძიის დიდებულ სენაკებს ვუპატრონეთ.

აკადემიის სტუდენტთა რაზმმა „ხუროთმოძღვარმა" სოფელ დამალის სკოლისა და მეცხოველეობის ფერმის კომპლექსის მშენებლობაზე 97 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა.

მომავალმა მხატვრებმა რაიონის ცენტრში მშვენიერი დეკორატიული წყაროც ააგეს.

ერთი სიტყვით, საქმე უამრავი გვქონდა, მაგრამ ძალიან შინაარსიანადაც დავისვენეთ. ასე რომ, ახალი სასწავლო წლიდან უფრო მეტი ენერგიითა და საკუთარი ძალების მეტი რწმენით ვუბრუნდებით ჩვენს სასწავლებლებს.

დიდი შეფასება, რომელიც საქართველოს კომუნისტთა ფორუმზე მისცა ამხ. ე. შევარდნაძემ ჩვენს სწავლასა და საქმიანობას, უფრო მეტს გვავალებს. ჩვენ კარგად გვახსოვს ის სიტყვები: „....ახლანდელი ჩვენი სტუდენტობა საიმედო რაზმია, რესპუბლიკის ახალგაზრდობის ოქროს ფონდია..."

მოვალენი ვართ, ჩვენი სწავლით, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით ყველგან პირნათლად ვამართლებდეთ ესოდენ მაღალ შეფასებას.

სტუდენტობა მზად არის სამშობლოს დაძახილზე პირველი იყოს იქ, სადაც საქვეყნო საქმის ბედი წყდება. ამ განწყობილებით ვემშვიდობებით მესამე შრომით სემესტრს და ვეგებებით ახალ სასწავლო წელს...

ქ. ჭიტაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, „ვარძია-81" სამშენებლო რაზმის მეთაური.

ახალი სახელმძღვანელოები

არაფერია უფრო ძვირფასი და ამაღელვებელი, უფრო დაუვიწყარი საჩუქარი ახალი სასწავლო წლისათვის, ვიდრე ახალი სახელმძღვანელო, ახალი წიგნები, რომლებიც დედა ენის მადლს გაიზიარებენ და სამშობლო ქვეყნის წარსულ მატიანის ფურცლებს გაგიცოცხლებენ თვალწინ. თუმცა რომელი სახელმძღვანელო არ არის ჩვენი გულისათვის ძვირფასი და შეუცვლელი!

ისინი კი აქ, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკაში იბადებიან, აქ იხამენ ზორცს.

• •

სურათებზე: ფაბრიკის საამკინძაო საამქროს ოსტატი, საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი მადონა ჯანაშია ახალი სახელმძღვანელოებით; კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ჯჭალა მიხელიძე საამკინძაო ავტომატზე მუშაობის დროს.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

31 აგვისტო

საბჭოთა ინიციატივების მხარდასაჭერად

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტია, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად უჭერენ მხარს სსრ კავშირის წინადადებას შეუდგნენ მოლაპარაკებას ახლო აღმოსავლეთში ნდობის ღონისძიებათა შესახებ, წერს მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „უნენი". ყველა დაინტერესებული ქვეყნის ასეთი კონკრეტული დიალოგი უთუოდ შეუწყობს ხელს აზიაში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, კონტინენტის სახელმწიფოთა ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობის მიღწევას.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ხაზს უსვამს „უნენი", თანამიმდევრულად იღვწის, რათა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, მათ შორის აზიაში ვითარების გაჯანსაღებისათვის საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადებათა წარმატებით განხორციელებას. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს სსრ კავშირის კონსტრუქციულ ინიციატივებს, წამოაყენა წინადადება დაიდოს კონვენცია აზიისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოთა ურთიერთთავდაუსხმელობისა და ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

ჰანოი. შორეულ აღმოსავლეთში ნდობის ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის წინადადებას მაღალი შეფასება მისცა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის წევრმა ნგუენ თხი ბინმა. სკკპ XXVI ყრილობაზე თანამედროვეობის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი, ლენინური სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებენ, თქვა მან, გვინერგავს რწმენას, რომ მშვიდობის შენარჩუნება შეიძლება.

მსოფლიოში, მათ შორის აზიაში, ვითარების ახლანდელი გამწვავების მიზეზი, ხაზი გაუსვა ნგუენ თხი ბინმა, არის ამერიკის იმპერიალიზმისა და პეკინის ექსპანსიონიზმის შტრული, აგრესიული პოლიტიკა. ისინი დაძაბულობას ქმნიან დედამიწის ბევრ რაიონში, ილაშქრებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, ცდილობენ ჩაერიონ სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, კერძოდ, ინდოჩინეთის ქვეყნების საქმეებში. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბჭოთა კავშირის წინადადებანი ნდობის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც შეესაბამება ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს.

სკკპ XXVI ყრილობაზე წამოყენებულმა წინადადებამ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაიწყოს უშუალო დაინტერესებულ ქვეყანასთან კონკრეტული მოლაპარაკება შორეულ აღმოსავლეთში ნდობის ღონისძიებათა შესახებ, ფართო დადებითი გამოხმაურება გამოიწვია აზიის ქვეყნების საზოგადოებრიობაში. პრესა, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი ამ საბჭოთა ინიციატივას მიიჩნევენ აზიის კონტინენტის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ღონისძიებად.

ტოკიო. იაპონიის თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, პარლამენტის დეპუტატმა სოციალისტური პარტიისაგან ტოსიაკი იოკოიამამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და პირადად ლ. ი. ბრეჟნევის მეცადინეობას მთელ მსოფლიოში, მათ შორის აზიის კონტინენტზე მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

იაპონიის საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს, თქვა მან, საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ გამოთქმული სსრ კავშირის წინადადება მოეწყოს კონკრეტული მოლაპარაკება შორეულ აღმოსავლეთში ნდობის ღონისძიებათა შესახებ. ჩვენ მივესალმებით რთული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისადმი ასეთ მიდგომას და იმით ვხელმძღვანელობთ, რომ იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა თუ არ დამყარდა, შეუძლებელია აზიაში მტკიცე მშვიდობის მიღწევა.

ვითარება ირანში

თეირანი. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ პრემიერ-მინისტრის კანცელარიის შენობაში 30 აგვისტოს მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპნენ ირანის პრეზიდენტი მუჰამედ ალი რაჯაი და პრემიერ-მინისტრი მოჰამედ ჯავად ბაჰონარი.

პრეზიდენტი ამ პოსტზე აირჩიეს მიმდინარე წლის 24 ივლისს. პრემიერ-მინისტრი დანიშნული იყო მიმდინარე წლის 5 აგვისტოს.

როგორც თეირანის რადიო იუწყება, დღეს დაკრძალავენ რაჯაისა და ბაჰონარს. ქვეყანაში გამოცხადებულია ხუთდღიანი ეროვნული გლოვა.

პრეზიდენტის დაღუპვასთან დაკავშირებით ირანში შეიქმნა პრეზიდენტის დროებითი საბჭო, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად ასრულებს ქვეყნის პრეზიდენტის ფუნქციებს.

უხეში აქცია

კორეის ცენტრალური სატელეგრაფო სააგენტოს ცნობა

ფხენიანი. კორეის ცენტრალური სატელეგრაფო სააგენტო იუწყება, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე უხეშად დაარღვია ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავმა.

მიმდინარე წლის 26 აგვისტოს, აღნიშნულია სააგენტოს ცნობაში, ამერიკის „სრ-71" ტიპის სადაზვერვო თვითმფრინავი შეიჭრა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილის საჰაერო სივრცეში მონაცემების ჯაშუშური შეგროვების მიზნით. ეს აქტი კიდევ ერთხელ მოწმობს ამერიკის ადმინისტრაციის ძირგამომთხრელ პოლიტიკას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე რესპუბლიკის სუვერენიტეტის უხეშ დარღვევას. ჯაშუშური ფრენები, რომლებსაც რეგულარულად აწყობენ ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავები, უნდა მივიჩნიოთ ამერიკის შეერთებული შტატების იმ პროვოკაციული ხრიკების ნაწილად, რომლებიც მიზნად ისახავს კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის გამწვავებას და კორეაში ახალი ომის გაჩაღებას, ხაზს უსვამს სააგენტო.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მიანიშნა, რომ შეერთებული შტატები აპირებს განაგრძოს მის მიერ „რეგულარულ ფრენებად" დახასიათებული ამგვარი პროვოკაციული აქციები.

ინციდენტს განმარტავენ ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომელთა გამონათქვამები არავითარ ეჭვს არ ტოვებს „სრ-71" ტიპის თვითმფრინავების ფრენის ნამდვილ მიზნებთან დაკავშირებით.

მოკლედ ტელეტაიპის ლენტიდან

● **ვიენტიანი.** აქ გაიხსნა აზიის ქვეყნების სოლიდარობის ეროვნული კომიტეტების საკონსულტაციო თათბირი, რომელიც მოეწყო აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის ინიციატივით. თათბირში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის, ვიეტნამის, ლაოსის, კამპუჩიის, მონღოლეთის, ავღანეთის, ინდოეთის, შრი ლანკისა და ტაილანდის დელეგაციები.

თათბირის დღის წესრიგშია იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროებისათვის აზიის ხალხთა ბრძოლის საკითხები.

● **კოპენჰაგენი.** აქ გაიმართა ნატოს წევრი მთელი რიგი სახელმწიფოების — ბელგიის, დანიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდისა და ნორვეგიის სოციალდემოკრატიული და სოციალისტური პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს თეთრი სახლის გადაწყვეტილება აწარმოოს ნეიტრონული ბომბი. მათ მოითხოვეს დაუყოვნებლივ მოეწყოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკება რაკეტულ-ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ.

● **სან-ხოსე.** პუერტო-რიკოს 213 ათას მცხოვრებს — ქვეყნის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 20,7 პროცენტს არა აქვს სამუშაო. ამას მოწმობს აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები.

უმუშევრობის მაღალი დონე გამოწვეულია შეერთებულ შტატებზე კოლონიური დამოკიდებულებით, ამერიკის მონოპოლიების მოძალეობით.

● **კუალა-ლუმპური.** მალაიზიის დედაქალაქში დაიწყო სასამართლო პროცესი ჩინეთის ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომლის საქმის გამო, რომელსაც ბრალად ედება ტყვია-წამლის, ხელყუმბარებისა და ძირგამომთხრელი ხასიათის დოკუმენტების უკანონო შენახვა. მალაიზიის კანონებით მას სიკვდილით დასჯა ემუქრება.

1975 წლიდან, როცა შემოიღეს უშიშროების ახალი წესები, იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო შენახვის ბრალდებით მალაიზიაში სიკვდილით დაისაჯა დაახლოებით 30 კაცი.

მსოფლიოს გარშემო

საიდან მოვიდნენ ბოშები

დელი. („პრავდის" საკ. კორ.). ლინგვისტებისა და ანთროპოლოგების ამასწინანდელმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ბოშური ენა „რომანი" სათავეს იღებს ინდური ენების „რაჯასთხანის", „მარათხის" და „პანჯაბის" დიალექტებიდან, ამბობს ინდოელი მეცნიერი დოქტორი შიამ სინგჰ შაში. იგი ამას წინათ დაბრუნდა ევროპისა და ამერიკის 14 ქვეყანაში მოგზაურობიდან, რომელიც მიზნად ისახავდა ბოშების წარმოშობის შესწავლას. მოგზაურობისას შეკრებილი ბევრი ახალი მასალა მოწმობს, რომ ისინი ინდოეთიდან არიან წამოსული.

„რომანის" შედარებითმა შესწავლამ ნათელყო იმ თეორიის სისწორე, რომლის თანახმადაც უძველეს წარსულში ზოგიერთი ინდური ტომი ჯერ ევროპაში, ხოლო შემდეგ ამერიკაში გადასახლდა. დღემდე, მაგალითად, ბოშათა ბანაკები, რომლებიც ფინეთსა და შვეციაში მომთაბარეობენ, თავიანთ თავს „რაჯპუტებს" ეძახიან (თანამედროვე ინდოეთის ერთ-ერთი ეროვნება). მათს ენაში ბევრი ისეთი სიტყვაა, რომელიც დღემდე მთელ რიგ ინდურ ენებში თითქმის ისევე იხმარება.

კაპიტალის სამყაროში

მწარე ხვედრი

ინგლისის ჯარი სიკვდილსა და ნგრევას თესავს ჩრდილოეთ ირლანდიის მიწა-წყალზე. ჯარისკაცები და პოლიციელები მცხოვრებთა სამართლიან პროტესტებს ავტომატის ჯერით, პლასტიკური ტყვიებით უპასუხებენ, რის შედეგადაც არიან დახოცილნი და დაჭრილნი, მეტწილად ქალები, მოხუცები და ბავშვები.

ზემო სურათზე თქვენ ხედავთ ინგლისელ ოკუპანტთა მსხვერპლს — დაჭრილ ბიჭუნას.

• •

რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აფრიკელთა ათიათასობით ოჯახი, უსახლკაროა და იძულებულია თავი საცხოვრებლად უვარგის მიწურს შეაფაროს.

როგორც იოჰანესბურგის გაზეთი „რანდ დეილი მეილი" წერს, ქვეყანაში შექმნილი საბინაო კრიზისი ყოველგვარ წარმოდგენას სცილდება.

სურათზე: უსახლკარო ზანგი ბავშვი იოჰანესბურგის ქუჩაში.

კამერა პრეს-საკდესის ფოტო.

რითაც მომავალს ვუმზერთ...

ახალი სკოლა!

იგი პირველი სექტემბრის სიხარულს აორკეცებს.

არაფერი შეედრება წამს, როცა ზაფხულის მზით სახეგარუჯული ყმაწვილები ზარის ხმაზე ჟრიამულით აავსებენ მის ნათელ დერეფნებსა და საკლასო ოთახებს.

გადაიშლება კიდევ ერთი სასწავლო კერის მატიანის თავფურცელი, და არა მარტო მოსწავლე და მასწავლებელი, არ მარტო მშობელი, რომელმაც პირმშო მოიყვანა აქ, არამედ ყველა, ვინც უნდა იყოს, უბრალოდ, გამვლელი მგზავრიც, შეუძლებელია, მცირე ხნით მაინც არ შედგეს და არ ისურვოს: მხოლოდ კეთილ და ნათელ საქმეთა მოამბე ყოფილიყოს ამ დიდი წიგნის ყოველი სტრიქონი...

ეს იმიტომ, რომ სკოლა ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავს. იგი იმ შეუქცევილი რწმენის ტაძარია, სადაც ერთმანეთს ხვდება ყოველივე ამაღლებული, რაც ხალხს თავის წარსულსა და დღევანდელობაში ეგულვის და რითაც იგი მომავალს უმზერს.

ამგვარი ფიქრით იღება ყველგან ახალი სკოლის კარი, ასეთი სიხარული იყო დღეს დილაადრიან ჩვენი რესპუბლიკის კიდევ 68 ახალ სასკოლო შენობაში, რომლებსაც 27520-მა მოსწავლემ მიაშურა.

ერთი მათგანი ჩვენი დედაქალაქის ახალმშენებლობათა მშვენიერ კუთხეში — ვაზისუბანშია. მესამე მიკრორაიონში ამიერიდან ბინა დაიდო თბილისის 163-ე საშუალო სკოლამ.

აქ ყველაფერი ახალია და ყველაფერი სიცოცხლით ფეთქავს: საცხოვრებელი სახლების თეთრად მოქათქათე მრავალსართულიანი კორპუსები, ახლადგაჭრილი და მოასფალტებული ქუჩები, სკვერები და გაზონები. და აი, ისიც შეემატა ამ შემოგარენს — ახალი ოთხსართულიანი სასკოლო შენობა და სპეციალიზებული ბაგა-ბაღი.

საკუთრივ სასწავლო კორპუსის გარდა სკოლას შესანიშნავი სამეურნეო ბლოკიც აქვს, წუნს ვერავინ დასდებს სპორტულ დარბაზსა და საცურაო აუზს. მალე ბევრი საინტერესო შეკრების ასპარეზად იქცევა ვრცელი სააქტო დარბაზი. სასადილო ისეა გაანგარიშებული, რომ ერთდროულად 150 მოსწავლეს მოემსახურება.

თავიანთი გარჯით მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის, მართლაც რომ, კარგი გაკვეთილი მისცეს მშენებლებმა ახალი სკოლის პირველ ბინადართ. ისინი მშენებლობას მიმდინარე წლის თებერვალში შეუდგნენ და, პირობისამებრ, აგვისტოს მიწურულში ყველაფერი უკვე მზად იყო.

იოლი გასაგებია, რატომ იხსენიებს მადლიერების გრძნობით უნის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ჯემალ ყიფშიძე ტრესტისა და სამმართველოს ხელმძღვანელობას. მათი ყოველდღიური ყურადღება და მოწადინება რომ არა, მშენებლებს უთუოდ გაუჭირდებოდათ მიცემული სიტყვის შესრულება. ამგვარი ყურადღება, ცხადია, ბევრს ნიშნავდა, მაგრამ საქმის წარმატებით დაგვირგვინება მაინც უშუალოდ მშენებლებზე იყო დამოკიდებული.

თვეების განმავლობაში ისინი გეგმიანად და ბეჯითად მუშაობდნენ ორ ცვლად, ისე რომ ნახელავის ხარისხიანობას არასდროს არ ივიწყებდნენ. აქაც, ამ მართლა საშვილიშვილო საქმეში, მშენებელთა დიდ კოლექტივში კვლავაც ტონის მიმცემნი იყვნენ მუშები შოთა აფციაური და ლადო დეკანოსიძე, ხუროები ვლადიმერ გამჯაშვილი და სოსო კვინტრაძე, შემდუღებელი ვასილ ტანანევი.

ათი წელია მშენებლად მუშაობს ელბერდ ჩიტიძე. ისეც პირნათელი კაცია, რომელსაც პატივი ჰქონდა სკოლის დღევანდელი დაუვიწყარი ზეიმი პირველს მიელოცა ახალი სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ასეთი ხალხია, პროფესიის პრესტიჟს რომ მუდამ ღირსეულად იცავენ. ორი შვილის მამა შეფარული სიამაყისა და მღელვარების გრძნობით ლაპარაკობს მშენებლის საქმესა და მოწოდებაზე. მალე მისი ბიჭებიც პირველად შეაღებენ სკოლის კარს. იქნებ იმ სკოლის მშენებლობაზეც უწევს მათ მამას მუშაობამ. თუმცა აქ შენ-ჩემობა სად გაგონილა და რა მოსატანია: ეს სკოლები ყველგან ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი მომავლისთვის, ქვეყნის ბურჯად და იმედად შენდება.

მთელი პედაგოგიური კოლექტივის სახელით, მრავალრიცხოვანი აღსაზრდელების სახელით მშენებლებს მხურვალე მადლობას უხდის თბილისის ახალი, 163-ე საშუალო სკოლის დირექტორი ელვარდ კიკნაძე.

მაშ, ჩვენც დავლოცოთ სწავლისა და ცოდნის ეს ახალი კერა.

ფრიადები დაბედებოდეს!

გაივლის ხანი, გაიფრენს წლები და, გვჯერა, ამ სკოლის აღზრდილები მუდამ იქ იქნებიან, სადაც მშობელ ხალხს და ქვეყანას ყველაზე უფრო დასჭირდება მათი ცოდნა და შემართება, მათი ჭაბუკური ენთუზიაზმი და რწმენა.

აქ, სკოლის ზღურბლთან დაწყებული გზა, სინათლისაკენ, მეცნიერების მაღალი მწვერვალისაკენ მიდის ცოდნის უსასრულო სამყაროში...

ლ. გორდაძე.

• •

„ერქვანის" დაბადება

რესპუბლიკის ერთ-ერთმა უძველესმა — ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა, რომელიც ს. ორჯონიკიძის სახელს ატარებს, მისამართი შეიცვალა — ახალი სასწავლო წლიდან მისი აღსაზრდელები ქალაქის დასავლეთით, მდინარე რიონის თვალწარმტაც სანაპიროზე, სალოს მთის ფერდობზე აგებულ „ერქვანად" წოდებულ აგროქალაქს მიაშურებენ.

მართლაც რომ, სახელოვანი გზა განვლო თავისი არსებობის თითქმის სამოცი წლის გზაზე სასწავლებელმა. რად ღირს მარტო იმის აღნიშვნა, რომ ამ წლებში მან რესპუბლიკას 3500-მდე კვალიფიციური სოფლის მეურნეობის სპეციალისტი მოუმზადა.

აქაურები კანონიერი სიამაყით იხსენებენ, რომ ტექნიკუმის დაარსება კომუნისტური პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს უთვალსაჩინოესი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის სახელთან არის დაკავშირებული. ეს იყო 1924 წელს... საბჭოთა საქართველო მაშინ პირველ, მაგრამ უკვე მძლავრ ნაბიჯებს დგამდა სოციალისტური განახლებისა და აღმშენებლობის გზაზე. სწორედ მაშინ რაჭაში სტუმრად მყოფ სერგო ორჯონიკიძესთან მოთათბირებით და მისი უშუალო მხარდაჭერით ჩადგომიან დიდ საქმეს სათავეში ი. ჯანელიძე და მ. სხირტლაძე. ეს თაოსნობა განსაკუთრებით მრავლისაღმთქმელი იყო ამ ლამაზი მთიანი მხარისათვის და ნაყოფიც, დიახაც, შესაფერი გამოიღო.

იმავე წელს გახსნილ სასწავლებელში 22 ახალგაზრდა მიუჯდა მერხებს... წელი წელს მისდევდა. სულ უფრო იკრებდა ძალას და ფართოვდებოდა ტექნიკუმი, ახალი სახელები ემატებოდა სახელოვან აღზრდილთა რიგს. ამ თანავარსკვლავედს გამორჩეულად ამშვენებენ სოციალისტური შრომის გმირები იზოლდა კობერიძე და იოველ ბაკურაძე. მათი ნაკვალევი მისაბაძი და სამაგალითოა მომდევნო თაობებისათვის. სანაქებო სწავლისა და საქმიანობისათვის მოუწოდებს ახალგაზრდებს დიდი სამამულო ომის მებრძოლთა სადიდებლად, ტექნიკუმის აღზრდილი 230 შინმოუსვლელის ხსოვნის უკვდავსაყოფად „ნასაკირალის" მშვენიერ ტყე-პარკში აგებული ობელისკი.

იოლი გასაგებია, რომ სასწავლებლის მეორედ დაბადება განსაკუთრებით ახარებთ ტექნიკუმის ვეტერან მასწავლებლებს შამშე ქევანაშვილსა და თამარ ქემოკლიძეს, პაშა კობახიძეს, იმათ, ვინც არც ახლა იშურებენ დიდ გამოცდილებას, ძალას და ენერგიას, რომ მუდამ სწორ, მართალ გზაზე იდგეს ახალგაზრდობა.

დღევანდელი დღის პირველი მილოცვაც მათ ეკუთვნით და კიდევ მათსავით ნამაგარ ვასილ ჭელიძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, მათ ახალგაზრდა კოლეგებს, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს.

ამიერიდან სწავლა-აღზრდის, მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებისა და გამრავალფეროვნების პირობებია სასწავლებელში. ტექნიკუმის კომპლექსის ნაგებობათა საერთო ფართობი 8 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. აქედან მარტო ძირითადი სასწავლო კორპუსის შენობას 4 ათასი კვადრატული მეტრი უჭირავს.

აგროქალაქის ტერიტორიაზე პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის აგებულია კეთილმოწყობილი ოთხი საცხოვრებელი სახლი, სასადილო, სასტუმრო, აბანო-სამრეცხაო, გარაჟი, სპორტული დარბაზი, მუზეუმი, ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის მოედნები. ტექნიკუმის განკარგულებაშია 50-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური, რადიოსტუდია და უახლესი მოწყობილობით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები.

შრომა და გარჯა არ დაუშურებიათ თვით ტექნიკუმის მასწავლებლებსა და აღსაზრდელებს. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მშენებარე აგროქალაქის ტერიტორიაზე მათ ასობით სხვადასხვა ჯიშის მცენარე დარგეს და გაახარეს.

საზოგადოებრივ საწყისებზე გამოვნებით გაშენებულ ტყე-ბაღში მოსწავლეები აგებენ 1000 ადგილიან მწვანე თეატრს, რომელიც მთლიანად ვაზით შეიმოსება.

სულ მალე ეს ტყე-ბაღი რიონის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებულ ტყე-პარკს დაუკავშირდება და მოსწავლეთა ხელით გამშვენიერებული მდინარის ეს ხეობა რაიონის მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობის კერა გახდება.

წლეულს, ივლისში, ტექნიკუმდამთავრებულთა მორიგ საზეიმო გამოშვებაზე, აქ კიდევ ერთ კარგ საქმეს მიეცა დასაბამი: ამიერიდან ნოემბრის ყოველ მეორე შაბათს საზეიმოდ აღინიშნება ტექნიკუმის დაარსების დღე — ერქვანობა.

ტექნიკუმმა ახალმოსახლეობა 29 აგვისტოს იზეიმა.

დღეს კი, პირველ სექტემბერს, აგროქალაქ „ერქვანში" პირველი ზარი დაირეკა; სასწავლებლის ისტორიაში კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერა...

ნ. ჩაჩავა,
ვ. ცირეკიძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საკეთილდღეო გარჯის დაფასება აღმშენებლობითი შრომისათვის მოგვიწოდებს!

მეათე ხუთწლედში მოსწავლეთა სწავლებასა და კომუნისტურ აღზრდაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ:

საქართველოს სს რესპუბლიკაში

აფხაზეთის ასსრ

ოქტომბრის რევოლუციის ორდენით

თარნავა კაპიტოლინა მარტინის ასული — გუდაუთის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების მეთოდისტი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

ვანაჩა ივანე თეიმურაზის ძე — ლიხნის საშუალო სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი, გუდაუთის რაიონი; **კანბა** ადელაიდა ლეონტის ასული — № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. გაგრა; **ხიმშიაშვილი** ტატიანა ალექსის ასული — № 8 რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ქ. ტყვარჩელი; **ტამბიუ** დინა სიმონის ასული — № 5 საბავშვო ბაღის გამგე, ქ. სოხუმი; **შენგელია** ვალენტინა გალაქტიონის ასული — ზუგდიდის ი. გოგებაშვილის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, გალის რაიონი.

ხალხთა მეგობრობის ორდენით

ამიჩბა რაისა ტესულთანის ასული — ტამიშის დ. გულიას სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ოჩამჩირის რაიონი; **გვარამია** ვალენტინა სამსონის ასული — № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. სოხუმი; **მეჭვარიანი** დარეჯან გრიგოლის ასული — ზემო ეშერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სოხუმის რაიონი; **ჭედია** გუგული ანდრიას ასული — ბაბუშერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გულრიფშის რაიონი; **ჯობავა** თინა სანდროს ასული — № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. გალი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

კერესელიძე არშალუის გრიგოლის ასული — არაკიჩის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ოჩამჩირის რაიონი; **მერკულოვა** ოლღა ტიხონის ასული — ა. პ. ჩეხოვის სახელობის № 14 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. სოხუმი; **ღვინია** შოთა მიხეილის ძე — გალის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორი; **შამბა** ივანე ვლადიმერის ძე — გუდაუთის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე; **ჩხეტია** ანატოლი ნიკოლოზის ძე — ტყვარჩელის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების გამგე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

ავიძბა ალა ჯანფერის ასული — ეშერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სოხუმის რაიონი; **გერჩელია** იონა კონსტანტინეს ასული — შოთა რუსთაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ტყვარჩელი; **გუბაზი** მიხეილ დათიკოს ძე — ნ. ა. ლაკობას სახელობის № 10 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. სოხუმი, **დავითიანი** ვენერა ბაგრამის ასული — ბალაჟიაშთას საშუალო სკოლის მასწავლებელი, გულრიფშის რაიონი; **ქეცბა** ივანე შაიბის ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

ბაკურაძე თინა მელიტონის ასული — № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ოჩამჩირე; **ბერულავა** ლენა ჯამლეთის ასული — ბესლეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სოხუმის რაიონი; **დემბნია** ზინაიდა ილარიონის ასული — აჩიგვარის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, გალის რაიონი; **კალმახიდი** ელზა გიორგის ასული — ა. მ. ჩოჩუას სახელობის № 17 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. სოხუმი; **კაპბა** ზაირა ცაკვას ასული — გუფის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ოჩამჩირის რაიონი; **მეფარიშვილი** მაყვალა ივანეს ასული — შოთა რუსთაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. გაგრა; **ნიკოლაიშვილი** ვალიდა სევასტის ასული — კელასურის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გულრიფშის რაიონი; **ფილია** პალინა დიმიტრის ასული — მუგუძირხვის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გუდაუთის რაიონი; **შაინცევა** რიმა ვასილის ასული — ხეივნის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. გაგრა; **ჩიტაია** თინათინ სპირიდონის ასული — № 2 სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი, ქ. სოხუმი; **ჭეჩია** ალექსანდრა ხაკის ასული — ყულანურხვის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გუდაუთის რაიონი.

აჭარის ასსრ

ოქტომბრის რევოლუციის ორდენით

გოგიჩაიშვილი კარლო კონსტანტინეს ძე — № 23 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ბათუმი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

დადიანი ზინაიდა ევგენის ასული — კახაბრის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ხელვაჩაურის რაიონი; **დადიანი** რევაზ სკენდერის ძე — ბობოყვათის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქობულეთის რაიონი.

ხალხთა მეგობრობის ორდენით

იმხნელიძე მამია მემედის ძე — ხიხაძირის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ხულოს რაიონი; **ნაკაიძე** ეთერ ახმედის ასული — ხუცუბნის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქობულეთის რაიონი; **წულუკიძე** ვახტანგ მიხეილის ძე — აჭარის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბერიძე თეიმურაზ სულეიმანის ძე — უჩხნის საშუალო სკოლის მასწავლებელი, შუახევის რაიონი; **დიასამიძე** მავილე ჰასანის ასული — ქედის დ. გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი; **კომახიძე** ზურაბ ხარიტონის ძე — ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. ბათუმი; **მიქელაძე** ნოდარ ეზიზის ძე — ურეხის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ხელვაჩაურის რაიონი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

კახიძე გივი მუსაევის ძე — მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი, ქედის რაიონი; **მიქელაძე** ციალა ჰაიდარის ასული — შუახევის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

დოლიძე ნაზი გრიგოლის ასული — აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კაბინეტის გამგე; **კონიაძე** თინა ჰუსეინის ასული — ხულოს საშუალო სკოლის მასწავლებელი; **რომანიძე** ამირან ჰასანის ძე — ჭახათის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქობულეთის რაიონი, **ხერგოშვილი** რუსუდან ოთარის ასული—№ 26 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ბათუმი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

შრომის წითელი დროშის ორდენით

ბეგიაშვილი გიორგი სოლომონის ძე — თიღვის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ზნაურის რაიონი; **გატიკოევა** ოლღა სადულის ასული — კვაისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ჯავის რაიონი.

ხალხთა მეგობრობის ორდენით

ბაგაევა ქენია გერასიმეს ასული — ძარის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ცხინვალის რაიონი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ახაევი ბორის ტიმოთეს ძე — ლენინგორის № 2 საშუალო სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი; **მაისურაძე** ნატალია სერგის ასული — ქსუისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ცხინვალის რაიონი; **ძაგოევა** ინესა ქრისტეფორეს ასული — ჯავის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

გახიევა ტატიანა ვიქტორის ასული — № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ცხინვალი; **ხიუკაევა** ბარბალე სიმონის ასული — მასწავლებელთა დახელოვნების საოლქო ინსტიტუტის კაბინეტის გამგე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

მელიქიძე ნინო ვასილის ასული — № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ცხინვალი; **ჯიოევა** ვალია რევაზის ასული — № 10 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი, ქ. ცხინვალი.

რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონები და ქალაქები

შრომის წითელი დროშის ორდენით

აკოფიანი ვარშამ სედრაქის ძე — დ. დემირჭიანის სახელობის № 4 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ახალქალაქის რაიონი; **ბოლიხოძე** ეშან ბათლომეს ასული — № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ლანჩხუთი; **ბოლქვაძე** ფეფო თეოფილეს ასული—№ 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. მახარაძე; **გაბუნია** ლია ალექსანდრეს ასული — № 37 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **გვილავა** მზია სამუელის ასული — კ. დ. უშინსკის სახელობის № 163 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქ. თბილისი; **გეთია** გრიგოლ კირილეს ძე — საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი, ქ. ზუგდიდი; **გულუმბეგაშვილი** მიხეილ გიორგის ძე — № 9 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. გორი; **დარჩია** მამია დომენტის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი, ქ. თბილისი; **ერისთავი** ნინო მამიას ასული — № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თელავი; **თოდრია** შალვა კონსტანტინეს ძე — მელექედურის საშუალო სკოლის დირექტორი, მახარაძის რაიონი; **კილტავა** ნუნუ ვიქტორის ასული — № 62 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ლომინაძე** მარო ალექსანდრეს ასული — № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი. ქ. ქუთაისი; **მაზმიშვილი** ქეთევან გაბრიელის ასული — ტირძნისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გორის რაიონი; **მაჩხანელი** ოლღა წყალობას ასული — საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. მცხეთა; **მჟავლობლიშვილი** მავრა ილარიონის ასული — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდიკური კაბინეტის მეთოდისტი; **მეხუზლა** ციალა ყარამანის ასული — № 6 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. გორი, **რაზმაძე** თინა სევერიანის ასული — № 100 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **უზუნიანი** ივანე ვაგინაკის ძე—№ 40 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. თ ბ ი ლ ი ს ი; **შარტავა** კალისტრატე თეოფანეს ძე — ცხაკაიას სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე; **ჩხეიძე** აგრაფინა საბას ასული — № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ცინცაძე** სოსლან ზაქარიას ძე — ჩოხატაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; **ძაგანია** გრიგოლ ილიას ძე — ონოღიის საშუალო სკოლის დირექტორი, გეგეჭკორის რაიონი; **წიკლაური** მერი პავლეს ასული — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ხავთასი** მამია იასონის ძე — მახარაძის სახალხო განათლების განყოფილების გამგე; **ჯაბუა** თინა ვალერიანის ასული — ინგირის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი, ზუგდიდის რაიონი; **ჯანიკაშვილი** სოფიო ზურაბის ასული — ბაკურციხის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გურჯაანის რაიონი; **ჯაფარიძე** თამარ არჩილის ასული — აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის № 53 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ჯინჭარაძე** პავლე პანტელეიმონის ძე — № 3 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. ლაგოდეხი.

ხალხთა მეგობრობის ორდენით

ვარდანაშვილი ალექსანდრა დარჩოს ასული — გლდანის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხეთის რაიონი; **გოგუაძე** რევაზ მათეს ძე — ლანჩხუთის რაიონული მეთოდიკური კაბინეტის გამგე; **გოცირიძე** მარინე ნიკოლოზის ასული—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა რესპუბლიკური სასახლის წრის ხელმძღვანელი, ქ. თბილისი; **გურსკაია** ევგენია ალექსანდრეს ასული — კიროვის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე, ქ. თბილისი; **იაშალაშვილი** ვალერიან გიორგის ძე — ტაბახმელის საშუალო სკოლის დირექტორი, გარდაბნის რაიონი; **კაბულაშვილი** ოლღა ისაკის ასული — კეხიჯვრის საშუალო სკოლის დირექტორი, ქარელის რაიონი; **კვაჭაძე** გიორგი მახარობლის ძე — № 13 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. თბილისი; **მუსაევი** ჯალალ ზაიდინ ოღლი — ზემო ოროზმანის საშუალო სკოლის დირექტორი, დმანისის რაიონი; **რომანოვსკი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — № 98 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკლასო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი, ქ. თბილისი; **როხტიაშვილი** თინა გიორგის ასული — № 124 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **სოხელია** არა რუბენის ასული — მეთოდიკური კაბინეტის მეთოდისტი, ქ. თბილისი; **ტყეშელაშვილი** ეთერ სათინიკის ასული — № 31 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ქუთაისი; **უიფიანი** თინათინ ლევანის ასული — № 77 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქ. თბილისი; **ჩაჩხიანი** შალვა თევდორეს ძე — წყალტუბოს სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების მეთოდისტი; **ხაჩატრიანი** ჰისტან გევორქის ასული — ბოგდანოვკის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ალიბეგაშვილი თამარ ალექსანდრეს ასული — ასპინძის საშუალო სკოლის მასწავლებელი; **ამირჯანოვი** სახაბინა ამრახ ოღლი — ყაჩაღნის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი, მარნეულის რაიონი; **აფციაური** იოსებ გიორგის ძე — ნაქალაქარის საშუალო სკოლის მასწავლებელი, თიანეთის რაიონი; **ბაჩილავა** ლოლა ერასტის ასული — ინჩხურის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გეგეჭკორის რაიონი; **ბერიძე** ლია ალექსანდრეს ასული — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კაბინეტის გამგე, ქ. თბილისი; **ბორისენკო** ბარბალე მიხეილის ასული—№ 15 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ბუხრაშვილი** შურა ერასტის ასული — ზედა საქარის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ზესტაფონის რაიონი; **გელაშვილი** თამარ სოლომონის ასული — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა რესპუბლიკური სასახლის წრის ხელმძღვანელი, ქ. თბილისი; **გობეჯიშვილი** ევტიხი ლუკას ძე — ბოლნისის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე; **გოდერძიშვილი** ლამარა გიორგის ასული — № 1 საბავშვო ბაღის გამგე, ქ. საგარეჯო; **გურიელიძე** გრიგოლ დიმიტრის ძე — № 3 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. რუსთავი; **დავითულიანი** რუბენ ალექსანდრეს ძე — ჩქუმის რვაწლიანი სკოლის დირექტორი, ცაგერის რაიონი; **დუდუჩავა** მურად დიმიტრის ძე — № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორი, ქ. თბილისი; **ენუქიძე** იულია ვალერიანის ასული—№ 8 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ჭიათურა; **ენუქიძე** ნათელა სამსონის ასული—ლენტეხის საშუალო სკოლის მასწავლებელი; **ვაჩეიშვილი** ლიპარტ ივანეს ძე — ჩოხატაურის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორი; **ზუბიაშვილი** ნინო გიორგის ძე — ქვემო ხვედურეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ქარელის რაიონი; **თარხნიშვილი** მარიამ არტემის ასული — შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. მარნეული; **თოფურია** კარლო არჩილის ძე — თბილისის საქალაქო მეთოდიკური კაბინეტის მეთოდისტი; **თორდია** ტატიანა სერგის ასული — ჩხორიის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ზუგდიდის რაიონი; **თუთბერიძე** დოდო სარდიონის ასული — ვარიანის ი. გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გორის რაიონი; **თხელიძე** სერგო ვლადიმერის ძე — ლაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ორჯონიკიძის რაიონი; **იაბლონსკაია** ეთერ სტანისლავის ასული — № 20 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ქუთაისი; **იგნატენკო** ალექსანდრა მიხეილის ასული — № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ახალციხე; **იმნაძე** ვალენტინა ვლადიმერის ასული — № 114 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **იობაშვილი** მზია ვარლამის ასული — სახალხო განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი ბუღალტერი, ქ. რუსთავი; **კაკულია** შოთა ივანეს ძე — № 2 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. ფოთი; **კანდელაკი** დარეჯან ვლადიმერის ასული — № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. რუსთავი; **კახიძე** თინა სამსონის ასული — სიქთარვის საშუალო სკოლის დირექტორი, თერჯოლის რაიონი; **კეჭკაჭიშვილი** ივანე სოლომონის ძე — არალის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ადიგენის რაიონი; **კობახიძე** ალექსანდრა დავითის ასული — № 87 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **კორელოვი** ვლადიმერ ირაკლის ძე — № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **კოტაევა** ოლღა ნიკოლოზის ასული — № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. გორი; **ლალუაშვილი** გიორგი ალექსის ძე — № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ხაშური; **ლორთქიფანიძე** შოთა დავითის ძე — სალხინოს საშუალო სკოლის მასწავლებელი, ვანის რაიონი; **მაღალაშვილი** იულია იოსების ასული — ქვემო ქედის საშუალო სკოლის მასწავლებელი, წითელწყაროს რაიონი; **მებურიშვილი** ლონდა შალვას ასული — № 161 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. თბილისი; **მიქაია** კარლო კირილეს ძე — ზუგდიდის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე; **მძევაშვილი** ეთერ გიორგის ასული — ქისტაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ახმეტის რაიონი; **პაატაშვილი** იამზე ვახტანგის ასული — № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თელავი; **პაჭკორია** თამარ არსენის ასული — № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ცხაკაია; **პირველი** ნათელა ივანეს ასული — № 167 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **პოპოვა** ალექსანდრა სტეფანეს ასული — დმანისის საშუალო სკოლის მასწავლებელი; **რომანოვა** ტატიანა ფილიპეს ასული — წალკის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი; **სადარეიშვილი** ელეონორა სერგის ასული — ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ქუთაისი; **საგინაშვილი** თამარ მიხეილის ასული — საგარეჯოს სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორი; **სარიშვილი** ელისაბედ სევასტის ასული — შემოქმედის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მახარაძის რაიონი; **სიდამონიძე** კარლო ვლადიმერის ძე — № 130 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **სიმკო** ანა იაკობის ასული — № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. რუსთავი; **სტამბოლციანი** მარუსა დავითის ასული — მაჯადინის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ახალქალაქის რაიონი; **სულაბერიძე** ნაზი ბესარიონის ასული — ღანიბის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სამტრედიის რაიონი; **ტუღუში** მამია ავქსენტის ძე — საბავშვო ახალგაზრდული სპორტული სკოლის დირექტორი, ქ. თბილისი; **ტურძელაძე** ვახტანგ სიმონის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდიკური ცენტრის მეთოდისტი; **ქავთარაძე** აიონა აკაკის ასული — № 51 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ქაიხოსროშვილი** ნელი დავითის ასული —№ 2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქ. საგარეჯო; **ქვაბზინაძე** პაშა დომენტის ასული — № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. წყალტუბო; **ქინქლაძე** ოთარ დანიელის ძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი; **ქუთელია** ნათელა ლავრენტის ასული — ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე; **ღარიბოვი** მამედ იუნუს ოღლი — ალთაღლის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გარდაბნის რაიონი; **ღვინიაშვილი** მარგო გიორგის ასული — № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. კასპი; **ყუფარაძე** მერი პავლეს ასული — წულუკიძის რაიონული მეთოდიკური კაბინეტის გამგე; **შაყულაშვილი** აკაკი გიორგის ძე — № 1 საშუალო სკოლის დირექტორი, ქ. ბორჯომი; **შილო** ვერა მიხეილის ასული — ტყვიავის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გორის რაიონი; **შუბითიძე** გულნარა მოსეს ასული — № 160 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ჩაგელიშვილი** ზინაიდა არსენის ასული — ირის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ონის რაიონი; **ჩხეიძე** ეთერ გიორგის ასული — № 2 ბაგა-ბაღის გამგე, ქ. თბილისი; **ცინცაძე** ეთერ ივანეს ასული — ლელიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ლაგოდეხის რაიონი; **ცინცაბაძე** ჰენრიეტა ვლადიმერის ასული—№ 166 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ჭაბაშვილი** მიხეილ ალექსანდრეს ძე — ბოდბისხევის საშუალო სკოლის დირექტორი, სიღნაღის რაიონი; **ჭანტურია** ციალა სტრატილატის ასული — № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. საგარეჯო; **ხამაშურიძე** დავით კარპეს ძე — მაიაკოვსკის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორი; **ხარძიანი** ნინო ვასილის ასული — № 152 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ხარტიშვილი** ნუნუ მალხაზის ასული — სიონის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ყაზბეგის რაიონი; **ხუხიაშვილი** არჩილ გიორგის ძე — საბავშვო ახალგაზრდული სპორტული სკოლის დირექტორი, ქ. ყვარელი; **ჯაში** თამაზ იუსტინეს ძე — ჯოგნარის რვაწლიანი სკოლის დირექტორი, სამტრედიის რაიონი; **ჯილაური** ლილი ივანეს ასული — გურჯაანის რაიონული მეთოდიკური კაბინეტის გამგე; **ჯინჯიხაძე** ლევან ვარლამის ძე — თეთრი წყაროს სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე; **ჯიშკარიანი** თენგიზ გიორგის ძე — ახალციხის საბავშვო ახალგაზრდული სპორტული სკოლის უფროსი მწვრთნელი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

აბდუშელიშვილი გუგული კონსტანტინეს ასული — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსი; **ბაიაძე** ლონგინოზ დავითის ძე — მერეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გორის რაიონი; **ბასილაია** სულიკო ილიას ასული — სალხინოს სანატორიული სკოლა-ინტერნატის უფროსი პიონერხელმძღვანელი, გეგეჭკორის რაიონი; **ბატურინა** ლიდია ივანეს ასული—№63 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქ. თბილისი; **ბახტაძე** თინათინ მათეს ასული — № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. წულუკიძე; **ბელქანია** მანანა მიხეილის ასული — კოტიანეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ცხაკაიას რაიონი; **გაბელაია** ლონგინოზ დავითის ძე — ველისციხის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გურჯაანის რაიონი; **გაბლიანი** ციური ილიას ასული — მესტიის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი; **გვერდწითელი** ელზა გიორგის ასული — რაჭის უბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ბოლნისის რაიონი; **გიგაური** ზაირა დავითის ასული — № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. კასპი; **გოგიძე** ნანული ვარლამის ასული — ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ცაგერის რაიონი; **გორგოშიძე** ალექსი სიმონის ძე—№ 1 საშუალო სკოლის ლაბორანტი, ქ. მახარაძე; **გოხელაშვილი** ნათელა დიმიტრის ასული — ქარელის № 2 საშუალო სკოლის საქმეთა მწარმოებელი; **გუგეშაშვილი** თინა ვარლამის ასული — ყაზბეგის საშუალო სკოლის მასწავლებელი; **გულიაევა** ქსენია მათეს ასული — ბოგდანოვკის საშუალო სკოლის მასწავლებელი; **ვაშაკიძე** ლია მიხეილის ასული — ხაშურის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორი; **ვაშაკიძე** ომარ შალვას ძე — კომკავშირული და პიონერული კადრების მომზადებისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრის დირექტორის მოადგილე; **ვერდიევა** ადილა გილალ ყზი — სადახლოს № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, მარნეულის რაიონი; **თავაძე** თამარ ალექსანდრეს ასული — ქვაყუდის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, სამტრედიის რაიონი; **თოდუა** ქეთო შალვას ასული — ნოჯიხევის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ხობის რაიონი; **იმნაძე** თინა პლატონის ასული— საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე; **ინჯია** ნოდარ სევასტის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ლაბორატორიის გამგე; **კაპანაძე** ალექსი პეტრეს ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი; **კარდენახიშვილი** ყარამან ალექსანდრეს ძე — თელავის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორი; **კაცარიძე** დარია ივანეს ასული — № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ზესტაფონი; **კერესელიძე** ტატიანა ანდრიას ასული — № 30 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **კილაძე** ელენე ივანეს ასული — № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. გორი; **კობერიძე** ლილი ლავრენტის ასული — № 9 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი, ქ. ჭიათურა; **ლაზარაშვილი** ეთერ ქრისტეფორეს ასული — № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ახალქალაქი; **ლიპარტელიანი** სერგი ილოს ძე — ხოფურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ლენტეხის რაიონი; **მამფორია** მერი ალექსანდრეს ასული — № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ზუგდიდი; **მაჩიტაძე** მერი ფოკას ასული — დიმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, მაიაკოვსკის რაიონი; **მარშავა** თინა არქიპოს ასული — № 9 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქ. ფოთი; **მესხი** მადონა მანუელის ასული — ვანის ს. მ. კიროვის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი; **მზარელუა** ბენია მიხეილის ძე — წალენჯიხის საშუალო სკოლის მასწავლებელი; **მიხაძე** ეთერ ზაალის ასული — წალკის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი; **მინდიაშვილი** კლარა არჩილის ასული — ვარკეთილის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გარდაბნის რაიონი; **ნაროზაშვილი** ცისანა გრიგოლის ასული — № 7 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარი, ქ. რუსთავი; **ობოლაძე** ფრიდე ვახტანგის ასული — № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ტყიბული; **პაპიძე** ლალი ალექსანდრეს ასული — ტაძრისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ბორჯომის რაიონი; **პაჭიძე** ლამარა ივანეს ასული — № 2 ბაგა-ბაღის გამგე, ქ. საჩხერე; **პაპუაშვილი** ნინო ვარლამის ასული — № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ქუთაისი; **რასტიაპინა** რაისა ივანეს ასული — ირგანჩაის საშუალო სკოლის მასწავლებელი, დმანისის რაიონი; **რატიანი** ლუდმილა სერგის ასული — გაუწყინარის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, აბაშის რაიონი; **სიხარული** ნანული შალვას ასული — თიანეთის № 1 საბავშვო ბაღის მუსიკალური ხელმძღვანელი; **სიჯინავა** შალვა ბათლომეს ძე — ლესიჭინეს № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ჩხოროწყუს რაიონი; **უნგიაძე** დარეჯან სიმონის ასული — ჩოხატაურის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი; **ურუშაძე** ლეილა შალვას ასული — № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ლანჩხუთი; **ქავთარაშვილი** ილო სოლომონის ძე — ომალოს რვაწლიანი სკოლის დირექტორი, ახმეტის რაიონი; **ყორიაშვილი** ეგული დიმიტრის ძე — ჯაფარიძის საშუალო სკოლის დირექტორი, წითელწყაროს რაიონი; **შვანგირაძე** ციალა დავითის ასული — № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. წყალტუბო; **შერეზადაშვილი** თამარ გერასიმეს ასული — რუხის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ზუგდიდის რაიონი; **ჩოქური** ვალერიან ალექსის ძე — ფასანაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი, დუშეთის რაიონი; **ცურკავა** რუსუდან ლავრენტის ასული — მცხეთის რაიონული მეთოდიკური კაბინეტის მეთოდისტი; **წერეთელი** პასიკო ივანეს ასული—№ 89 საბავშვო ბაღის აღმზრდელი, ქ. თბილისი; **წიქარიშვილი** იზოლდა შალვას ასული — წიფის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი, ორჯონიკიძის რაიონი; **ხაინდრავა** კალისტრატე ბენედიქტეს ძე— ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ხარაიშვილი** ცისანა იპოლიტეს ასული — ვარდისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ლაგოდეხის რაიონი; **ხარატიშვილი** ნათელა ბაგრატის ასული — საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თეთრი წყარო; **ხაჭაპურიძე** ზაირა ნიკოლოზის ასული — წნისის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ახალციხის რაიონი; **ხორავა** მაყვალა ანტონის ასული — № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ფოთი; **ჯაბიძე** ბუდუ მიხეილის ძე — ჩხარის საშუალო სკოლის მასწავლებელი, თერჯოლის რაიონი; **ჯავახიშვილი** ცისანა გალაქტიონის ასული — მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის განყოფილების გამგე, ქ. თბილისი; **ჯავაშვილი** ლაურა მიხეილის ასული — წნორის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, სიღნაღის რაიონი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

აგურაშვილი ლილი გიგას ასული — შილდის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ყვარლის რაიონი; **ალეხსეევა** ირინე იურის ასული — № 38 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ანჯაფარიძე** ელისო იპოლიტეს ასული — № 113 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი, ქ. თბილისი; **ანდრიაძე** ნაზი სერგის ასული — მარნის საშუალო სკოლის მასწავლებელი, აბაშის რაიონი; **ბარამიძე** მიმოზა დავითის ასული — ჯურუყვეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ლანჩხუთის რაიონი; **ბერიძე** ბანგიოს ნიკოლოზის ძე — საროს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ასპინძის რაიონი; **ბერიშვილი** მერი მიხეილის ასული—№ 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. მახარაძე; **ბეჟქენაძე** ლამარა შალვას ასული — ჰობისხევის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ბორჯომის რაიონი; **ბოხაშვილი** მიხეილ ისმაილის ძე — ღების საშუალო სკოლის მასწავლებელი, ონის რაიონი; **გამყრელიძე** მათიკო რომანის ასული— ბერბუკის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, გორის რაიონი; **გვაზავა** ნათელა ჰამლეტის ასული — ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელობის № 1 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი, ქ. ქუთაისი; **გინოსიანი** რანუშ გევორქის ასული — დარაქოის საშუალო სკოლის მასწავლებელი, წალკის რაიონი; **გოგინავა** ინეზა ილიას ასული— № 2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე, ქ. წალენჯიხა; **გოგუა** აველინა იროდის ასული — მუხურის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ჩხოროწყუს რაიონი; **გორგაძე** ლეილა ნესტორის ასული—№ 7 ბაგა-ბაღის მუსიკალური ხელმძღვანელი, ქ. რუსთავი; **გრიგორიანი** ბარბალე სამველის ასული — № 76 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **გუნია** მაყვალა კონსტანტინეს ასული— გოგოლესუბნის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ჩოხატაურის რაიონი; **გურაშვილი** იზოლდა არჩილის ასული — № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. წითელწყარო, **დარასელია** თინა გიორგის ასული — კორცხელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ზუგდიდის რაიონი; **დარჩიაშვილი** ნინო ივანეს ასული — მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის კაბინეტის გამგე, ქ. თბილისი; **ელიზბარაშვილი** ვენერა ვლადიმერის ასული — ჭანდრის საშუალო სკოლის მასწავლებელი, გურჯაანის რაიონი; **ვასილევა** ნიკადიმა ნიკოლოზის ასული—№ 5 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ზესტაფონი; **ვოლკოვა** ვესტა ევგენის ასული — № 23 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ქუთაისი; **ზაქარაია** შალვა გრიგოლის ძე — ჭალადიდის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ხობის რაიონი; **იაკუბოვა** სარა მბათ ყზი — ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ბოლნისის რაიონი; **კაპანაძე** ლამარა გრიგოლის ასული — შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. საჩხერე; **კაპანაძე** ნატაშა ივანეს ასული — ჩხუტელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ცაგერის რაიონი; **კარიბოვა** მარიამ ანდრიას ასული — მანგლისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, თეთრი წყაროს რაიონი; **კახიძე** ზაირა ოთარის ასული — ვ. სტურუას სახელობის ნაბაკევის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სამტრედიის რაიონი; **კერესელიძე** ლიდა ალექსის ასული — ჰეჟლის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, ადიგენის რაიონი; **კიკნაძე** ნუნუ ვარდენის ასული — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური მეთოდიკური კაბინეტის მეთოდისტი; **კირცხალია** თინა სამსონის ასული — ნოსირის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ცხაკაიას რაიონი; **კოვალჩუკი** ნადეჟდა ალექსანდრეს ასული— საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. გარდაბანი; **კუბლაშვილი** თენგიზ იაგორის ძე — ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ქ. თბილისი; **ლაზარიაშვილი** მერი ივანეს ასული — ბაისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ლაგოდეხის რაიონი; **ლომაძე** ნაზი დანიელის ასული — № 68 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ლომიძე** გოგუცა ედიშერის ასული — ჭიორგიწმინდის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ახალციხის რაიონი; **მაისურაძე** კლარა მიხეილის ასული — № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ახმეტა; **მანდარია** მიხეილ ინდიკოს ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი; **მანქანაშვილი** ირაკლი გივის ძე — პატარა ქანდის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, მცხეთის რაიონი; **მაღლაკელიძე** გუგული შალვას ასული — № 48 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **მაჭავარიანი** ელისო ირაკლის ასული — ყონჯთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, წყალტუბოს რაიონი; **მნათობიშვილი** ლევან სიმონის ძე — ორჯონიკიძის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე, ქ. თბილისი; **მჭედლიძე** სონია ვასილის ასული — ნაბახტევის რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილე, ხაშურის რაიონი; **ნადარეიშვილი** რევაზ ნესტორის ძე — სუჯუნის საშუალო სკოლის დირექტორი, აბაშის რაიონი; **ოდიკაძე** კუცა დავითის ასული— № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ტყიბული; **ოქრომჭედლიძე** უშანგი ზაქარიას ძე — სახალხო განათლების კალინინის რაიონული განყოფილების ეკონომისტი, ქ. თბილისი; **როსტიაშვილი** ეთერ სანდროს ასული — ყანდაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი, საგარეჯოს რაიონი; **საფაროვა** ნინო მიხეილის ასული — № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. მარნეული; **სოხანეიშვილი** სვეტლანა ალექსანდრეს ასული — ვანის რაიონული მეთოდიკური კაბინეტის გამგე; **სულეიმანოვი** ალიხან ამირასლან ოღლი — საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის მდივანი; **ტეპორიანი** ანა პოლოსის ასული — ალასტნის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ახალქალაქის რაიონი; **უკლება** ნინო იპოლიტეს ასული— ეწერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, თერჯოლის რაიონი; **უთმელიძე** იზოლდა კონსტანტინეს ასული — ვარდისუბნის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, თელავის რაიონი; **ფალიანი** სელიმხან გერასიმეს ასული — მესტიის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი; **ჩაჩიბაია** ლამარა არისტარხოს ასული — № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. ზუგდიდი; **ჩიხლაძე** კობა ალექსანდრეს ძე — № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. წულუკიძე; **ჩხაიძე** ნარი ანთიმოზის ასული — დიდი დმანისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, დმანისის რაიონი; **ცირეკიძე** ალექსანდრე გიორგის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაუსწრებელი რესპუბლიკური საშუალო სკოლის მეთოდისტი; **ციხისთავი** ჟანა სოლომონის ასული — № 55 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ცხვარიაშვილი** ვლადიმერ ანდრიას ძე — № 146 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ჭითანავა** როზა ბონდოს ასული — საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი; **ხაუსტოვა** ჟანა იაკობის ასული — № 86 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ხოსროშვილი** ეთერ გიორგის ასული — ახალსოფლის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ყვარლის რაიონი; **ხუტულაშვილი** გივი ვლადიმერის ძე—№ 119 საშუალო სკოლის მასწავლებელი, ქ. თბილისი; **ჯანგულაშვილი** ზეინაბ ალექსანდრეს ასული — ნუკრიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სიღნაღის რაიონი; **ჯანელიძე** ეთერ ისაკის ასული — მაიაკოვსკის ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 17 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მეათე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ:

საქართველოს სს რესპუბლიკაში

აფხაზეთის ასსრ

III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით

ფაჩალია არუსტამ შერიფის ძე — სოხუმის წისქვილქარხნის მევალცეთა ბრიგადირი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით

გოგიჩაევა ზოია გრიგოლის ასული — ცხინვალის პურის მიმღები საწარმოს მუშა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონები და ქალაქები

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

სალდაძე შოთა მიხეილის ძე — ქუთაისის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორი.

ჩიგოგიძე ბესარიონ ვლადიმერის ძე — საკავშირო გაერთიანების „საკელევატორმშენის“ საქართველოს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით

შუბულიანი აკაკი ილიას ძე — თბილისის წისქვილქარხნის მუშათა ბრიგადირი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

ჯავაშვილი მიხეილ კოტას ძე — წნორის პურპროდუქტების საწარმოო კომბინატის მევალცეთა ბრიგადირი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

გოგიაშვილი რუიზან იოსების ასული — გორის პურპროდუქტების კომბინატის გადამკიდელი.

ფირცხალავა ანზორ სერგის ძე — თბილისის პურპროდუქტების კომბინატის მთავარი მექანიკოსის მოადგილე.

ჭანტურია ოთარ ბაგრატის ძე — აბაშის პურის მიმღები საწარმოს მუშა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 14 აპრილი.

ცოდნის ახალი კერები

ათასი სტუდენტისათვის გათვალისწინებული ეს მშვენიერი კორპუსი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შეემატა. ამიერიდან აქ მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტი დამკვიდრდება (მარცხნივ);

აქაც პირველად აწკრიალდა დღეს სექტემბრის ზარი: ახალქალაქის რაიონის სოფელ კოჟიოში, მაღლა ლამაზ მთებზე რომ შეფენილა, სკოლის ახალმოსახლეობის ზეიმი იყო. ვიდრე პირველი ზარი დაირეკებოდა, სკოლის შემოგარენი და ნათელი საკლასო ოთახები, მშენებლებთან ერთად, საგულდაგულოდ დააწკრიალეს მოსწავლეებმა.

ვ. მორგუნოვისა (საქინფორმი) და თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მოგვილოცნია!..

ღია წერილი ქალაქ ორჯონიკიძის აკაკი წერეთლის სახელობის ქართული მე-19 საშუალო სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს

ეს პატარა ბარათი სახელდახელოდ იწერება და ალბათ გვაპატიებთ, თუ ახლა ვერ ვახერხებთ ყოველივე იმის თქმას, რაც გულში აქვს თითოეულ ჩვენგანს. უბრალოდ, ძალიან გვინდოდა ახალი სასწავლო წლის დადგომის ამ სამახსოვრო დღეს შეგხმიანებოდით და გულითადად მოგვეკითხეთ ისე, როგორც ნამდვილ მეგობრებს შეშვენით.

გეორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლისთავისადმი მიძღვნილი ჟურნალისტური ექსპედიციის მონაწილენი ყოველ შეხვედრაზე სიამოვნებით ვიხსენებთ თქვენს სკოლაში სტუმრობის ამბავს.

იმ დღის სისხამზე დავტოვეთ ჩვენი რესპუბლიკის ჩრდილოეთი ჭიშკარი — ყაზბეგის რაიონი და ორჯონიკიძისკენ გავუყევით გზას. ორჯონიკიძე თავისმა წვიმით დაგვიხვდა, მაგრამ ამას გუნება-განწყობილებისთვის ხელი არ შეუშლია, რადგან ჩვენი ყაზბეგელი მასპინძლების სითბო კარგა ხანს „მოგვაცილებდა". ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან დავბანაკდით, გზის პირას, მწვანით დაბურულ ჭალაში კარვები დავდგით და მაშინვე ქალაქში გავწიეთ, რომ ფეხით გაგვევლო რუსთაველისა და თბილისის, ორჯონიკიძისა და ქუთაისის, ბუაჩიძისა და წერეთლის ქუჩებში.

ისე როგორ იქნებოდა, რომ თქვენი სკოლა არ მოგვენახულებინა. რაღა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ ზაფხულის არდადეგების დღეებში, მოსწავლეები იქ არ დაგვხვდებოდნენ. მაგრამ სკოლისათვის თვალი რომ არ შეგვევლო, არ იქნებოდა. ჩვენმა კინოოპერატორმა ფირზეც აღბეჭდა ეს საუკუნოვანი ცოდნის კერა, რომელსაც ჩვენი მამულისთვის არაერთი სახელოვანი მოღვაწე აღუზრდია. სკოლის დღევანდელ ცხოვრებაზე, მოსწავლეებისა და თავისი კოლეგების საქმიანობაზე გულთბილად გვესაუბრა სკოლის დირექტორი, ჩვენი კეთილი მასპინძელი ლილი გოგრიჭიანი. ვისმენდით მის საუბარს და გვიხაროდა, რომ ეს ძველისძველი ტრადიციების სკოლა ოსი და ქართველი, ყველა საბჭოთა ხალხის განუყრელი მეგობრობის ცოცხალი მატიანე, საძმო კერაა. რა კარგი იქნება, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები უფრო ხშირად სტუმრობდნენ თქვენთან, თავისი თვალით იხილონ, როგორ ცხოვრობთ და შრომობთ მეგობრობის მაგ ნათელ სახლში!

რაც ჩვენი შეხვედრისას ვთქვით, იმ სიტყვას უთუოდ შევასრულებთ, პატივცემულო ლილი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი სკოლის საზრუნავი, ახალი ქართული წიგნის შეძენა იქნება ის თუ საქართველოში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოსული თქვენი აღზრდილი ყმაწვილის ხვედრი, ყველა ჩვენგანის საზრუნავიც გახლავთ.

მოგვილოცია ახალი სასწავლო წელი.

გაუმარჯოს მამულის სიყვარულით მოწკრიალე თქვენი სკოლის ზარს, რომელსაც ხმას და ომახიანობას მატებს საბჭოთის ხალხთა ძმობის უზზარავი რვალი.

ექსპედიციის მონაწილეთა სახელით —

ჯ. ჯიშკარიანი,
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალისტური ექსპედიციის წევრი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

გორი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ასწლოვანი ტყე-პარკის სიჭაბუკე

მტკვრისა და ლიახვის შესაყართან 18 ჰექტარზეა გადაჭიმული ვერხვიანის ჭალა. აქ, ასწლოვან ხეთა ჩრდილებში, მდინარის პირას ამ ნახევარი საუკუნის წინათ ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკი გაშენდა.

შარშან ტყე-პარკში დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო და, თუმცა რეკონსტრუქციის დამთავრება საგაისოდ არის გათვალისწინებული, დღეისათვის უკვე ბევრი რამ გაკეთდა.

ამჟამად აქ უკვე მუშაობს 11 სახის ატრაქციონი, ახალგაზრდობისათვის მოეწყო სპორტული და საცეკვაო მოედნები. მომავალში პარკის მშვენება გახდება ხელოვნური ტბა, რომლის მშენებლობაც სულ მალე დაიწყება.

მორიგი საგასტროლო ტურნე

„ჩემთვის, როგორც ქორმაისტერისათვის, სასიამოვნო აღმოჩენა იყო ქ. გორის გოგონათა გუნდის გაცნობა. ალავერდის ძველ ტაძარში გოგონათა გუნდმა პოეტური აღმაფრენით შეასრულა ძველი ქართული სიმღერები და საგალობლები. არ დაგიმალავთ, ცრემლები ვერ შევიკავე, დიდხანს განცვიფრებული ვიყავი". ეს სიტყვები მოსკოვის კონსერვატორიის რექტორს, პროფესორ ბ. კულაკოვს ეკუთვნის.

აღტაცება და მოწონება ყოველთვის თან სდევს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის, გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა კამერული გუნდის ყოველ შეხვედრას მსმენელებთან.

ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ირლანდია, ჩეხოსლოვაკია, მალტა, ჩვენი ქვეყნის ქალაქები — ასეთია გოგონათა კამერული გუნდის არცთუ სრული საგასტროლო გეოგრაფია.

ირლანდიაში გორელმა გოგონებმა საგუნდო ფესტივალის სპეციალური პრიზი დაიმსახურეს, მალტაში — მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფესტივალის საპატიო დიპლომი, შემდეგ — მეათე საკავშირო ახალგაზრდული ფესტივალის ლაურეატობა. და ეს სულ ამ ათიოდე წელიწადში. ამ გუნდს დაარსებიდან ნიჭიერი ახალგაზრდა დირიჟორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. მოსიძე ხელმძღვანელობს.

ვოკალური გუნდი ამჟამად მორიგი საგასტროლო ტურნესთვის ემზადება. შემოდგომაზე იგი კონცერტებს პერუსა და ეკვადორში გამართავს.

არავინ არის დავიწყებული

ოცდათექვსმეტი წელი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან, და მაინც იმ ძნელბედობის წლების ექო ჯერაც არ განელებულა თანამედროვეთა ხსოვნაში.

შესაძლოა ბევრმა არც იცის, რომ პირველად საბჭოთა კავშირში, სწორედ გორში საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა საბრძოლო დიდების მუზეუმი, გამოინახა შენობა და ყველა ფრონტელის ოჯახმა სიამოვნებით გადასცა მუზეუმს ძველი ფოტოსურათები, წერილები, ან რაიმე ნივთი, რომელიც ფრონტზე წასულების სახელთან იყო დაკავშირებული.

მოგვიანებით საბრძოლო დიდების მუზეუმის ექსპონატების გამდიდრებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ჟუკოვმა, ავიაციის მთავარმა მარშალმა ი. გოლოვანოვმა და სხვა საბჭოთა მხედართმთავრებმა.

ისევე როგორც ყველგან, გორშიც, ომის ვეტერანი ზრუნვისა და პატივისცემის, სიყვარულისა და მოკრძალების სინონიმად იქცა. ომის ვეტერანებს შარშან ქალაქის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ ათასობით მანეთის სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია. დასასვენებელი სახლისა და სანატორიუმის საგზური მიიღო 101-მა ომის ინვალიდმა, ომის ინვალიდებზე და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე განაწილდა 4 მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული", ხოლო ხუთ ინვალიდს უფასოდ მიეცა მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი".

ახლახან ქალაქში გაიხსნა კეთილმოწყობილი სასურსათო მაღაზია, რომელიც მხოლოდ ომის მონაწილეებს ემსახურება.

კემპინგი — ჩინებული ტურისტული ბაზა

ქალაქის შემოსასვლელში, გზისპირას, მწვანეში ჩაფლული ორსართულიანი კოტეჯები ჩამწკრივებულა — ეს გორის ავტოკემპინგია, რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე ტურისტული ბაზა.

წლევანდელ ტურისტულ სეზონს ავტოკემპინგის კოლექტივი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა, დროულად იზრუნეს კოტეჯების მიმდინარე და კაპიტალურ რემონტზე. დასასვენებელ და საძილე ოთახებში დაიდგა ახალი ავეჯი და ინვენტარი. ძირეული ცვლილებები მოხდა კემპინგის კეთილმოწყობაში, აშენდა საცურაო აუზი, მოზაიკურმა დეკორატიულმა კედელმა დაამშვენა საცეკვაო მოედანი, მოასფალტდა ეზო, აშენდა სკვერი.

განახლებული იერით წარსდგა დამსვენებელთა წინაშე კემპინგის სასადილო. მხატვრებმა და დიზაინერებმა ცოტა როდი იშრომეს იმისათვის, რომ კვების ბლოკი გემოვნებით გაეფორმებინათ, ძქვე მოეწყო ბარიც.

დამთავრდება თუ არა მიმდინარე წლის ტურისტული სეზონი, დაიწყება ხუთსართულიანი კაპიტალური სასტუმროს მშენებლობა. ეს კი საშუალებას მისცემს კემპინგის კოლექტივს დამსვენებლები მთელი წლის განმავლობაში მიიღოს.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ოქროს მედლებით ბრუნდებიან

საბჭოთა მოჭიდავეების ბრწყინვალე წარმატება

საბჭოთა ათლეტებმა მართლაც შესანიშნავად იასპარეზეს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში. აქ გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატში მათ ათი წონითი კატეგორიიდან შვიდში პირველობა მოიპოვეს. სასიხარულოა ისიც, რომ მათ შორის ორი თბილისელია — მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი

ვახტანგ ბლაგიძე (52 კგ-მდე წონითი კატეგორია) და მიხეილ სალაძე (100 კგ-მდე წონა). ერთმაც და მეორემაც თავი ისახელეს, ტოლი არ დაუდეს მრისხანე მეტოქეებს და დიდამიწის ზურგზე უძლიერესთა წოდება მოიპოვეს.

მათ გარდა საბჭოთა მოჭიდავეთაგან მსოფლიო ჩემპიონის წოდებები მოიპოვეს ალმაათელმა ჟაკსალიკ უშკემპიროვმა (48 კგ), ზაპოროჟიელმა გენადი ერმილოვმა (68 კგ), მოსკოველებმა ალექსანდრე კუდრიავცევმა (74 კგ), გენადი კორბანმა (82 კგ) და ვიტემსკელმა იგორ კანიგინმა (90 კგ). დანარჩენ წონით კატეგორიებში უძლიერესნი იყვნენ პასკუალე პასარელი (გფრ, 57 კგ), იშტვან ტოტი (უნგრეთი, 62 კგ) და რეფიკ მემიშევიჩი (იუგოსლავია, 100 კგ-ზე ზევით).

სურათებზე: მსოფლიოს ჩემპიონები ვახტანგ ბლაგიძე (ზევით) და მიხეილ სალაძე.

ყაბახი

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგა

წარსულ კვირა დღეს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამერვე ტურის ბოლო ორი მატჩი. მოსკოვის „ტორპედომ" მიიღო „ჩერნომორეცი" და იგი დაამარცხა ანგარიშით 3:0, მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკის" შეხვედრა კი დამთავრდა ფრედ — 1:1.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (კ)	26	18	7	1	42-14	43
„სპარტაკი"	28	17	5	6	59-32	39
„დინ." (თბ)	27	13	8	6	48-26	34
„ტორპედო"	27	12	9	6	33-24	33
„დინ." (მ)	26	11	8	7	34-25	30
„შახტიორი"	26	10	8	8	42-28	28
ცსკა	27	10	7	10	31-29	27
„დინ." (მნ)	26	9	8	9	31-28	26
„ყუბანი"	27	9	6	12	35-42	24
„დნეპრი"	27	9	6	12	34-46	24
„ყაირათი"	28	7	10	11	33-40	24
„ნეფთჩი"	27	7	11	9	24-42	24
„არარატი"	26	8	7	11	34-37	23
„ტავრია"	27	8	6	13	28-38	22
ასკ	27	7	8	12	30-43	22
„ჩერნომ."	26	8	5	13	28-35	21
„ზენიტი"	25	6	9	10	25-31	21
„ფახთაქორი"	27	5	4	18	24-45	14

მეორე ლიგა

გაიმართა მეორე ლიგის მეცხრე ზონის საკავშირო შეჯიბრების მეორე ეტაპის მესამე ტურის მატჩები I-VIII ადგილებისათვის მებრძოლთა ჯგუფში. შეხვედრათა შედეგები ასეთია: აბოვიანის „კოტაიკი"-ლენინაკანის „შირაკი" — 3:2, ლენქორანის „ხაზარი"-სამტრედიის „ლოკომოტივი" — 2:0, ოქტემბერიანის „სპარტაკი"-აშხაბადის „კოლხოზჩი" — 3:1, სოხუმის „დინამო"-სტეფანაკერტის „ყარაბახი" — 2:1. 53 ქულით ლიდერობს „კოტაიკი". დანარჩენი გუნდების მდგომარეობა ასეთია: „ლოკომოტივი" — 47 ქულა, „ყარაბახი" — 39, „კოლხოზჩი" და „ხაზარი" — 37-37, „დინამო" — 36, „სპარტაკი" — 35, „შირაკი" — 33 ქულა.

თამაშობენ მეტოქეები

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს" მომავალი მეტოქე „გრაცერ აკი" ავსტრიის პირველობის მეორე ტურში საკუთარ მინდორზე შეხვდა ვენის „ვინერ შპორტკლუბს" და გაიმარჯვა — 2:0. ანგარიში 51-ე წუთზე გახსნა გიოსლმა, ხოლო 82-ზე რიდლმა კარგად გამოიყენა მოდერის გადაცემა და განამტკიცა თავისი გუნდის წარმატება.

უეფას თასზე ცსკას მეტოქემ, გრაცის „შტურმმა" ვენაში წააგო ადგილობრივ „ადმირა-ვაკერთან" — 1:3.

მესამე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ „გრაცერ აკი" და „შტურმი". დიდი ანგარიშით გაიმარჯვა „შტურმმა" — 4:1.

„ბავშვთა სამყარ № 2"

თელავი. (საქ. კორ.). ახ 1981-1982 სასწავლო წლის დ ყების წინ კიდევ ერთი საჩუ მიიღეს თელავისა და მისი რა ნის ბავშვებმა.

თელავის საკოლმეურნეო ბ რის ახლოს, ალაზნის პროსპექ გაიხსნა ახალი ლამაზი პავილ „ბავშვთა სამყარო № 2". პავი ონი დადგა „თელავქალაქმშე ბის" სარემონტო სამუშაო უბანმა.

ხუთწლედის მხატვრული მატიანე

მხატვრული ციკლის „მიწ ადამიანების" შექმნას შეუდ რესპუბლიკის სახვითი ხელოვ ოსტატები. შემოქმედებითმა მ რუტმა ისინი ალაზნის ველის წიაღში მეურნეობებში მიიყვა

ფუნჯისა და საჭრეთლის ო ტები ქმნიან სოფლის მეურ ბის მოწინავეთა, ცნობილ მე ხეთა პორტრეტებს, რომლე უხვი მოსავლისათვის იბრძ წლევანდელი უამინდობის რ პირობებში.

— ასე ივსება ხუთწლედის მ ტრული მატიანე, — თქვა სა თველოს მხატვართა კავშირის მგეობის თავმჯდომარემ ი. ამ კელმა. — მისი პირველი ფურ ლები ეძღვნება თუშეთისა და ზეგის მშრომელებს, თბილ მეტროპოლიტენის და ენგურ მშენებლებს.

ახლანდელი ხუთწლედის შემუშავებულ შემოქმედებ პროგრამაშია ქვეყნის ეკონომი რი და სოციალური განვითარე ძირითად მიმართულებებში აღ ნული მისამართები. თავიანთი ლოების ჭმირებს მხატვრები ხ ბიან მშენებლობებზე, დიდ სამ წველო საწარმოებში, ჩაისა ციტრუსის პლანტაციებში.

ყველგან, სადაც ჩადიან ს თი ხელოვნების ოსტატები, რებიან მშრომელებს სოფლის მუშათა მხატვრული სტუდ შექმნაში, კლუბებისა და კულ რის სახლების გაფორმებაში. რმწერები განაგრძობენ ტრად ას, რომელსაც მეათე ხუთწლე ჩაეყარა საფუძველი. ისინი ტილოს გადასცემენ სოფლის რაიონების სამხატვრო გალერ სა და სახვითი ხელოვნების ზეუმებს. (საქინფორმი).

ხურდა

ჩვენო პატარებო, რომელ თქვენგანს არ წაუკითხავს ლავრენტი ჭიჭინაძის მოთხრობები, რომლებშიც მწერალი აქებს თქვენს სიყოჩაღესა და ზრდილობას, სიბეჯითესა და გამტანობას...

ახლახან ლ. ჭიჭინაძეს დაბადების 75 წელი შეუსრულდა. მოდით, ერთად მივულოცოთ მას ეს თარიღი და ახალი მოთხრობაც წავიკითხოთ, რომელიც მწერალმა სწორედ თქვენთვის შემოგვთავაზა საპირველსექტემბროდ:

— ბესო ახლა დიდი ბიჭიაო, — თქვა დედამ ბესოს გასაგონად. მართლაც, შარშანდელთან შედარებით დიდია ბესო. ის მეორე კლასში ქების სიგელით გადავიდა.

დედამ იმიტომ გააგონა, დიდიაო, რომ დავალება უნდოდა მიეცა, ამიტომ წინასწარ შეაქო, უარი არ მითხრასო.

— ბესიკო, ჩახვალ მაღაზიაში და პურს მოარბენინებ?

— როგორ არ ჩავალ! — წამოიძახა ბესომ და გასაქცევად მოემზადა.

— რომ მირბიხარ, ფული არ გინდა? — შესძახა დედამ.

— აბა, უფულოდ რას მომცემენ.

— ჰოდა, აი სამმანეთიანი. ორი პური გამოართვი, თითო ექვსი შაური ღირს. ხურდას რამდენს მოგცემს?

ბესო წამით ჩაფიქრდა.

— ორ მანეთსა და რვა შაურს.

— მაშ, ახლა კი გაიქეცი!

ბესო წავიდა და სულ რამდენიმე წუთში პური ამოარბენინა. ხურდაც ხელში ჩაუდო დედას. დედამ დაითვალა და გაკვირვებით შეეკითხა:

— ბიჭო, ნოქარს ფული არ მიეცი?

— როგორ არა, ის სამმანეთიანი მივეცი და ეგ ხურდა მომცა.

— აქ ისევ სამი მანეთია. ბესომ უცებ მოისაზრა:

— ნოქარს იმდენი ხალხი შემოსეოდა, რომ თავბრუ ჰქონდა დახვეული მათ სიტყვა-პასუხში. ალბათ შეეშალა ხურდის გამოანგარიშება. მეც არ დამითვლია...

დედამ ვერც მოასწრო რაიმეს თქმა, ისევ ბესომ წამოიძახა: — მომეცი თორმეტი შაური! მას ხომ თორმეტი შაური უნდა აელო, ახლავე ჩავუტან... დედას მოეწონა ბესოს უყოყმანო გადაწყვეტილება, ფული ჩაუთვალა და უთხრა:

— ძალიან გამახარე შენი ამ ნუთიერი მოფიქრებით, ხომ იცი შვილო, ნათქვამია: რაც არ გერგება, არ შეგერგებაო.

ლავრენტი ჭიჭინაძე.

შეისვენეთ „სალხინოში"

ონი. (საკ. კორ.). თბილისისაკენ მიმავალი საავტომობილო მაგისტრალის მეშვიდე კილომეტრზე თვალს იტაცებს ულამაზესი ბუნება — კლდიდან გადმოხეთქილი ჩანჩქერი, რომელიც პატარა ტბას ქმნის. ირგვლივ რთხმელის კორომები და სურნელოვანი ყვავილებია მოფენილი.

ამ ადგილს ცოტახნის წინათ 47-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ხუროები ესტუმრნენ და არემარე აახმიანეს. მშენებლებმა აქ მგზავრთა დასასვენებელი სახლი ააგეს და საავტომობილო მაგისტრალს ლაზათი შემატეს, იქვე ძელსკამები დადგეს, მიდამო დეკორატიული მცენარეებით გაალამაზეს.

მგზავრთა დასასვენებელ სახლს სიმყუდროვეს მატებს გემოვნებით ნაგები რაჭული ბუხარი. მგზავრს საშუალება ეძლევა აქ ფიჩხის შეშა აატკაცუნოს, საგზალი გაიცხელოს და სუფთა ჰაერზე დანაყრდეს.

ბუნებისა და კაცის ხელით დამშვენებულ ამ ლამაზ ადგილს მგზავრებმა „სალხინო" შეარქვეს.

„კომუნისტის" რეიდი

კეთილმოვაწყოთ ბახმარო!

მაღალი მთის კურორტი ბახმარო ყოველწლიურად ათი ათასობით დამსვენებელს იზიდავს. იგი მდინარე ბახვისწყლის ორივე ნაპირზეა გაშენებული და მარად თოვლიან „საყორნიისა" და „მზის ამოსვლის" მთებს შორის არის მოქცეული. ბახმაროს ჰავა კარგად მოქმედებს მოზარდთა ორგანიზმზე, ამიტომ არის, რომ აქაურ დამსვენებელთა 80 პროცენტი ბავშვები და ახალგაზრდობაა.

სამწუხაროდ, ჯანმრთელობის ეს ძვირფასი კერა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს აქ ჩამოსულთა ელემენტარულ მოთხოვნილებებს, დამსვენებლები ათეული წლების წინათ აგებულ ყავრით დახურულ ქოხმახებში ცხოვრობენ.

ამ მოუვლელ კურორტს ერთადერთი დასასვენებელი სახლი აქვს, რომელიც 1925-27 წლებშია აგებული. მას შემდეგ აგერ თითქმის 55 საკურორტო სეზონმა ჩაიარა და ამ ხნის მანძილზე ერთი დასასვენებელი ობიექტიც კი არ შემატებია, და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის დადგენილებით კურორტების მართვის რესპუბლიკურ საბჭოს დავალებული ჰქონდა 250-საწოლიანი დასასვენებელი სახლის აგება. მშენებლობა კი, ჯერაც არ დაწყებულა. ისიც უნდა ითქვას, რომ კურორტის დირექციის განკარგულებაშია რამდენიმე მოძველებული, ამორტიზებული სახლი, რომლებსაც დამსვენებლებზე აქირავებენ. მათ რომ იცოდნენ, რა საფრთხეში იგდებენ თავს, იქაურობას ახლოსაც არ გაეკარებოდნენ. რეიდის წინა დღეებში კურორტის ცენტრში ღამით მთლიანად დაინგრა ერთი ასეთი სახლი, სადაც 27 დამსვენებელი იყო. ერთ-ერთი მათგანი თურმე გვიან ღამით დაბრუნებულა დასაძინებლად, მოსვლისთანავე დაუნახავს, რომ სახლი ინძრეოდა, დამპალი ხის ძელები იმსხვრეოდა, მაშინვე განგაში აუტეხია, მძინარე ადამიანები გარეთ გამოუცვივნიათ და რაღაც სასწაულით გადარჩენილან.

დამსვენებლებს წლების მანძილზე ჰპირდებიან წყალსადენისა და კანალიზაციის გაყვანას, მაგრამ საქმეს არ ეშველა, კურორტის მთელ რიგ ცენტრალურ ქუჩებში ანტისანიტარია სუფევს, არ ჰყავთ სანიტარი ექიმი.

ორიოდე სიტყვა პირუტყვის თაობაზე: 1500-2000 სული პირუტყვი ყოველდღიურად პირდაპირ დამსვენებელთა თვალწინ, საცხოვრებელი ბინების კარდაკარ დადის და აბინძურებს ისედაც დანაგვიანებულ კურორტს.

სარეიდო შემოწმებამ ცხადყო, რომ პირუტყვის მეპატრონენი ბახმაროს ახლო-მახლო მდებარე სახელდახელოდ ნაგებ ქოხმახებში არიან მოკალათებული და საქონელი კურორტის ქუჩებში ჰყავთ მიშვებული საძოვრად. შემჩნეულია ისიც, რომ აქ განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა ზოგიერთი უპატიოსნო მუშაკი პირად პირუტყვს კურორტის ტერიტორიაზე აძოვებს.

წინა წლებში ბახმაროს მახლობლად „ბერძნის კარვის" ტერიტორიაზე მეცხოველეობის ფერმა ჰქონდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. რადგან იგი ანტისანიტარიის ბუდე იყო და აბინძურებდა წყაროებს, ხიდისთაველებმა ფერმა სხვაგან გადაიტანეს. ამის შემდეგ აქ თვითნებურად ჩამოსახლდნენ შუახევის რაიონის ბარათაულის სასოფლო საბჭოს მცხოვრებნი, რომლებმაც თან დიდძალი პირუტყვი ჩამოიყვანეს.

ვესაუბრეთ შუახეველებს, ავუხსენით, რომ მოსალოდნელია ეპიდემიის გავრცელება. ამაზე ახმედ ზოიძემ ასე გვიპასუხა: ეს ბინა მაირ ყიფიანისგან ვიყიდე, 1500 მანეთი მივეცი, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით!

დღის წესრიგში დგას ბახმაროში სპორტულ-ტურისტული ბაზების მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი საკითხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე ადგილიდან დაიძვრება.

ბახმაროს უკეთესი მომავლისათვის ამ დღეებში იმსჯელეს და სერიოზული ღონისძიებები დასახეს ჩოხატაურის, მახარაძის, ლანჩხუთისა და სამტრედიის რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა და გადაწყვიტეს, მომავალი საკურორტო სეზონიდან ერთიანი შესაძლებლობით უზრუნველყონ კურორტის კეთილმოწყობა. კარგ საქმეს აკეთებენ „საქმთავარენერგოს" (უფროსი ი. ჰედია) მუშაკები, რომლებმაც ბახმაროში რთულ პირობებში უკვე აზიდეს ელექტრობოძები, გაიყვანეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, გადაწყვეტილი აქვთ წელსვე გაიყვანონ 12 კილომეტრი მაღალი და დაბალი ძაბვის ხაზები, ააშენონ 5 სამომხმარებლო ქვესადგური, რასაც 150 ათასი მანეთი მოხმარდება.

ბახმარო რესპუბლიკის კურორტებს შორის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, მოვუაროთ მას, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ დამსვენებელი შინ კმაყოფილი დაბრუნდეს.

რეიდის მონაწილენი: ზ. კაკურია — ჩოხატაურის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გ. ცხოიძე — პარტიის ჩოხატაურის რაიკომის ინსტრუქტორი, რ. ურუშაძე — სარაიონთაშორისო ელექტროქსელების დირექტორი, ბ. ღლონტი — კურორტ ბახმაროს პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ი. თავაძე — ჩოხატაურის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი, ვ. სიხარულიძე — რაიონულ გაზეთის „კომუნიზმის განთიადის" რედაქტორი, ბ. ჩხაიძე — გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. ავსტრიის ქალაქ გრაცში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდა მოჭადრაკეთა გუნდებს შორის. სსრ კავშირის ნაკრებმა 32,5 ქულა დააგროვა და პირველობა მოიპოვა.

აკადემიური ნიჩბოსნობა. მიუნხენის მახლობლად გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ნიჩბოსანმა ქალებმა ექვსიდან ოთხი ფინალური შეჯიბრება მოიგეს. თითო ოქროს მედალი წილად ხვდათ რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს.

ბალახის ჰოკეი. მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და ინდოეთის ვაჟთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 4:3.

მხატვრული ტანვარჯიში. ასტრახანში დამთავრებულ სსრ კავშირისა და ბულგარეთის ტანმოვარჯიშეთა ამხანაგურ შეხვედრაში კარგად იასპარეზა თბილისელმა ირინე გაბაშვილმა. მან მრავალჭიდში მეხამე ადგილი დაიკავა. ლენტით ვარჯიშში იგი მესამე იყო, ხოლო რგოლით ასრულებაში ირინე დევინასთან ერთად II-III ადგილები გაინაწილა. მრავალჭიდში უძლიერესი იყო დევინა. მეორე ადგილი დაისაკუთრა ბულგარელმა ა. რალენკოვამ. გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ველოსპორტი. ჩეხოსლოვაკიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში დიდი წარმატება მოიპოვა კუიბიშეველმა ანდრია ვედერნიკოვმა. მან ჯგუფურ რბოლაში (ტრასის სიგრძე 187,6 კმ) ყველას აჯობა და საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა ამ სახეობის ველოსპორტში.

ხელბურთი. თბილისში დამთავრდა უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ვაჟთა გუნდებს შორის. ამ ასპარეზობაში პირველი ადგილი მოიპოვეს კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა, მესამე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა.

რაგბი. კარგა ხნის შესვენების შემდეგ განახლდა საკავშირო ჩემპიონატი. თბილისში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" დაამარცხა კიევის „ავიატორი" — 10:6.

დ. დ. ჩიკვილაძ



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1945 წლიდან დიდი სამამულო ომის მონაწილე, სოციალისტური შრომის გმირი დავით დიმიტრის ძე ჩიკვილაძე.

დ. ჩიკვილაძე დაიბადა 1 წელს სოფ. ჭალაში (ონის რა ნი), ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა დაწყებითი სკოლა მუშაობა დაიწყო მშობლ სოფლის კოლმეურნეობაში რიგით კოლმეურნედ, შემ ბრიგადირად. 1934-1941 წლ მუშაობდა ქ. ონში სხვადასხვა მეურნეო პასუხსაგებ თანამდ ბაზე. იგი 1941 წელს საცხ ბლად გადავიდა დაბა ბოლნ სადაც მუშაობდა სტალინის ს ლობის კოლმეურნეობაში ბრ დირად. აქედან 1942 წელს წვიეს საბჭოთა არმიის რიგე დემობილიზების შემდეგ დ. ჩ კვილაძე ისევ კოლმეურნეო იწყებს მუშაობას მეცხვე ფერმის გამგედ. აქ მან თავი მოიჩინა როგორც კარგმა ორ ნიზატორმა, საქმის მცოდნემ. მაღალი მაჩვენებლის მიღწ თვის მას სოციალისტური შრ გმირის წოდება მიენიჭა.

სიცოცხლის უკანასკნელ ოდში ის იყო ქ. ბოლნისის ძრო ნაწილის ინსპექტორი. გი მუშაობისათვის მიღებ ჰქონდა მთავრობის ჯილდო

პატიოსანი მშრომელის დ. ჩიკვილაძის ხსოვნა მუდამ და ბა მისი ამხანაგებისა და მ ბრების გულში.

საქართველოს კომპარ ბოლნისის რაიკომი; ს ლხო დეპუტატთა ბოლ სის რაისაბჭოს აღმასკ

მხატვრის ღიმილი

●●

უსიტყვოდ



მხატვარი ლ. მართაშვილი.

ტელევიზია

1 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 10.30 — ქართული მხატვრული ფილმი „აკაკის აკვანი", 17.00 — „მშვიდობით, ზაფხულო, გამარჯობა სკოლავ!", 17.50 — კონცერტი, 18.30 — მიმართვა ახალგაზრდობისადმი, 18.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დამრიგებელთა წრეში", 19.05 — მიმართვა ახალგაზრდობისადმი, 19.15 — კინოპროგრამა — „დედაენა ხვალისათვის"; „ბავშვები ხატავენ", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — მიმართვა ახალგაზრდობისადმი, 20.40 — ინგლისური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ქეთი, დაბრუნდი" (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „გამარჯობა, სექტემბერო!". 23.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 17.10 — „კინომოზაიკა", 17.35 — ქართული სატელევიზიო ფილმები — „ბავშვთა ნახატების გამოფენა", „არსებითი სახელი სკოლა", 18.10 — განცხადებები, 18.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დაშნა". მეორე სერია, 19.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დილა მშვიდობისა".

რედაქტორის მოადგ
ვ. ნაჭყებ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 уэ 14941 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.